# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 3 ნოემბერი. 2018 წ. №221-222 (8622-8623) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


**მამუკა ხაზარაძე:**

# ერთხელ და სამუდამოდ ვუთხრათ არა შურისძიებას, რევანშიზმს, რათა დაპირისპირებებმა დამღუპველი შედეგები არ მოუტანოს ქვეყანას!



იხ. 3 გვ.

**დავით ზარდიაშვილი:**

## ვაშაძისთვის ხმის მიცემა ნიშნავს ხელისუფლების დამხობისთვის მხარდაჭერას!

6

**DEUTCHE WELLE:**

## გერმანიიდან ქართველებს მასობრივად აძევებენ

8

**ამის დავიწყება არ შეიძლება!**

## ორმაგი სიკვდილი...



11

## „ქულუარული გარიგებები უფსკრულისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება“




2



7

## რა მოხდება, როცა ერთ-ერთს აირჩევენ?.. ვინ რას გააკეთებს პირველად?

**ვიქტორ რცხილაძე**

## ნაცების პოლიტიკური უზნეობანი



3

**დღის მოწოდება**

# მეტი და მეტი ყურადღება ხალხის გულისხმას:

გაერთიანებული ოპოზიციის სახელით შენიღბული, ამჯერად გაგრიგოლვაშაძეებული, დღემდე დაუსჯელი, კვლავ ხელისუფლებაში მოსასვლელად ხმებზე მონადირე სააკაშვილი გვარიანად შეჭირვებულ პენსიონერებს პენსიის 400 ლარამდე გაზრდას ჰპირდება, რაც წინასაარჩევნო მორიგი „თავბრუდამხვევი“ ტყუილი და გულუბრყვილო, მალემრწმენი ამომრჩევლის აშკარა შეურაცხყოფაა.

„ოცნების“ ხელისუფლება უსწრაფესად უნდა დაელაპარაკოს ამ საკითხზე ამომრჩეველს და ნაციონალთა მაცდუნებელი ტყუილის ნაცვლად სიმართლე უთხრას, როდისთვის და რამდენით გაიზრდება ახლანდელი 180-ლარიანი პენსია!

## 100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB76015360-20100009. (შპს „ახალი საუკუნე“).



# საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გორში მოკლული ბავშვის ოჯახს მიუსამძიმრა

**„რამდენიმე დღის წინათ მთელი საქართველო შეძრა უმძიმესმა ფაქტმა, როდესაც გორში 8 წლის ბავშვი გახდა შემზარავი ძალადობის მსხვერპლი. დამნაშავე მთელი სიმკაცრით აგებს პასუხს.**

**აქვე მინდა, უდიდესი მწუხარება გამოვთქვა ტრაგედიის გამო, რომელიც ქედაში, სოფელ დოლოგანში დატრიალდა. გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს, დაკავებულია სამი პირი. თუ დადგინდა, რომ დარღვეულია უსაფრთხოების წესები, ყველა მათგანი უმკაცრესად აგებს პასუხს კანონის წინაშე.**

**გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებ ბავშვების ოჯახებს და მათ ახლობლებს. ასეთი შემზარავი ტრაგედიები არ უნდა ხდებოდეს“,** — აღნიშნულია პრემიერ-მინისტრის სამძიმრის წერილში.

# საქართველოს უახლეს ისტორიაში გახლავთ მხოლოდ ერთი ძალადობრივი და რევანშისტული პოლიტიკური ძალა, ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“

**„საქართველოს უახლეს ისტორიაში გახლავთ მხოლოდ ერთი ძალადობრივი და რევანშისტული პოლიტიკური ძალა, რომელმაც საზოგადოებას თავი სწორედ ამ თვალსაზრისით დაამახსოვრა. ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“ და ის პროპაგანდისტული მექანიზმი, რომელსაც ის ხშირად იყენებს. 2012 წლიდან საქართველოში მშვიდობისა და დემოკრატიის მაღალი ხარისხის გარანტი გახლავთ სწორედ „ქართული ოცნება“ და ეს სტანდარტი ყოველთვის ძალიან მაღალ დონეზე იქნება“,** — განაცხადა გუშინ მამუკა ბახტაძემ.

# ორმხრივი სავაჭრო შეთანხმების გაფორმება აშშ-თან იქნება ძალიან მნიშვნელოვანი...

**თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი აშშ-თან იქნებოდა ის ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილი და წინაპირობა ყველასთვის, რომ ჩვენ მივაღწიოთ ჩვენი ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს — საქართველო გავხადოთ ეკონომიკური ცენტრი მთელი რეგიონისთვის,** — ამ განცხადებით გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე კონგრესმენ ტედ პოს ინიციატივას, დაჩქარდეს აშშ-სა და საქართველოს შორის ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებაზე მოლაპარაკებების ინიცირება.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ორმხრივი სავაჭრო შეთანხმების გაფორმებისთვის მოლაპარაკებების დასაწყებად კონგრესმენი პო იშველიებს იმ ძალიან მნიშვნელოვან არგუმენტებს, რომელიც საქართველოს აქვს ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით.

**„მოგეხსენებათ, რომ ჩვენ გადავედით აქტიურ ფაზაში ჩვენს ამერიკელ კოლეგებთან და განვიხილავთ საკითხს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შესახებ, რომელიც არის ძალიან მნიშვნელოვანი წინაპირობა იმისთვის, რომ საქართველო კიდევ უფრო გავაძლიეროთ ეკონომიკურად. მოგეხსენებათ, რომ კონგრესმენ ტედ პოს ინიციატივით ჩვენი მეგობრები გამოეხმაურნენ და თავიანთი აზრი დააფიქსირეს. 28 კონგრესმენმა მოუწოდა აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენელს, დავაჩქაროთ ამ ინიციატივის განხილვა“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

# ყველა სამინისტროში სტრატეგიული კომუნიკაციების სტრუქტურული ერთეულები შეიქმნება

**ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის შესამცირებლად და ეფექტიანი კომუნიკაციების სისტემის ჩამოყალიბების მიზნით კომუნიკაციების სტრუქტურული ერთეულები შეიქმნება.**

ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის შესამცირებლად და ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების გაზრდის, აგრეთვე, ქვეყანაში ეფექტიანი, კოორდინირებული და პროაქტიული სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა სამინისტროში სტრატეგიული კომუნიკაციების სტრუქტურული ერთეულები შეიქმნება.

პრემიერის თქმით, ანტიდასავლური პროპაგანდის შესაკავებლად შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია და სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის ჩამოყალიბება, სწორედ, ამ მიზნით განხორციელებული მასშტაბური პროგრამის ნაწილი იქნება.

# ენზელ მკოიანი არის ჩვენი გუნდის ღირსეული წევრი!

**ჩვენ სრულ თანადგომას ვუცხადებთ ჩვენს თანაგუნდელ ენზელ მკოიანს. იყო ძალიან მაღალი შედეგი ახალქალაქსა და ნინოწმინდაში, რამაც, ბუნებრივია, გააღიზიანა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები და ისინი ცდილობენ ერთგვარი შეტევის მიტანას ახალქალაქზე, ნინოწმინდაზე,** — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განუცხადა.

ირაკლი კობახიძის შეფასებით, ახალქალაქში მომხდარი სამწუხარო ინციდენტი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ არასწორი მეთოდების გამოყენების შედეგი იყო.



მისივე თქმით, მმართველი გუნდის ხელთ არსებული, მტკიცებულებებით დადასტურებული ინფორმაციით, კონფლიქტი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაიწყო. ირაკლი კობახიძემ „ნაციონალურ მოძრაობას“ პროვოკაციებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ასეთ პროვოკაციებს კანონის ჩარჩოებში მკაცრი პასუხი ექნება.

# „კულუარული გარიგებები უფსკრულისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება“

**28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე „შუაგაკრეფის“ პოლიტიკამ საბოლოო მარცხი განიცადა და ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა: „ნაციონალური მოძრაობის“ დანაშაულებრივი რეჟიმისგან საქართველოს „განთავისუფლების“ ექვსი წლისთავზე ნაცების კანდიდატმა უფრო მეტი ხმა აიღო ვიდრე, 2012 წელს, როცა თავად იყვნენ ხელისუფლებაში. მთელი პასუხისმგებლობა ამ პოლიტიკურად დისკრედიტირებული ძალის რეანიმაციაზე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას და მისი მართვის სტილს ეკისრება.**

ხელისუფლების ეს მარცხი არ არის მარტო მისი დამარცხება, ეს სამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოების მარცხიც არის, რომელმაც ვერ მოახერხა სათანადოდ შეწინააღმდეგებოდა „ქართული ოცნების“ არასწორ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რამაც „ნაციონალურ მოძრაობას“ რეაბილიტაციის შანსი მისცა.

ჩვენ უფლება არ გვაქვს დავუშვათ „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის რეანიმაცია და არც იმის ფუფუნება გვაქვს, რომ „ქართულ ოცნებას“ მივცეთ საშუალება, ისევ ასეთი გაუაზრებელი და არასახელმწიფოებრივი მეთოდებით მართოს ქვეყანა.

**შექმნილ ვითარებაში ხელისუფლებას ვთავაზობთ: უარყოს პრობლემის მოგვარების კულუარული (სხვადასხვა ინდივიდუალური გარიგებები) გზა და თუნდაც მეორე ტურის მიმდინარეობისას, საჯაროდ წარუდგინოს საზოგადოებას კონკრეტული სახელმწიფო პრობლემების მოგვარების ერთიანი ხედვა (როგორიცაა: ანტიმონოპოლისტური და კონკურენტული სივრცის დამკვიდრება ცხოვრების ყველა სფეროში, მიწის ერთიანი კოდექსის მიღება, 2003-2013 წლებისა და 2008 წლის ომის საგამოძიებო და პოლიტიკური შეფასების სახელმწიფო**




**კომისიის შექმნა, კანაფის კულტივაციის კანონის მკაფიო უარყოფა, იმიგრაციის მკაცრი რეგულაციების შემოღება, საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფა, მინიმალური სოციალური პაკეტის განსაზღვრა და სხვა), რაც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, მათი კანდიდატის მხარდაჭერის მინიმალური პირობა იქნება.**

მეორე ტურამდე საკმარისი დროა იმისთვის, რომ ზემონახსენები გადაწყვეტილებების მიღება გაჟღერდეს. ეს იქნება ერთგვარი შეთანხმება საზოგადოებასთან და იმის წინაპირობა, რომ მოხდება ამომრჩევლების ნდობის მოპოვება, რეალური და დროში გაწერილი პროგრამული დაპირებების საშუალებით. ეს იქნება დასტური იმისა, რომ ხელისუფლებამ სწორად გაიგო მოსახლეობის „გზავნილი“.

სხვა შემთხვევაში, მტკიცდება, რომ „ოცნებას“ კვლავ ორპოლუსიანი, ხელოვნურად პოლარიზებული და მონოპოლისტური გარემო სჭირდება ხელისუფლების შესანარჩუნებლად და ცვლილებებზე საუბრები, მხოლოდ მოსახლეობის მორიგი გაბითურებაა.

**„ოცნებამ“ უარი უნდა თქვას მოსახლეობის „თეთრ-შავად და ნათელ-ბნელად“ პროვოკაციულ დაყოფაზე და სამოქალაქო ომის საშიშროებაზე აპელირებაზე. ეს არის დანაშაული სახელმწიფოს წინაშე, რამაც შეიძლება, ქაოსამდე მიიყვანოს ქვეყანა. ხელისუფლებამ კარგად უნდა გაიაზროს, რომ მოწოდება — უარესის შიშის გამო უაპელაციოდ მე დამიჭირე მხარი, რათა გავაგრძელო იგივე, რასაც ვაკეთებდიო, აღარ მუშაობს. პირველი ტურის შედეგები და საერთაშორისო დამკვირვებლების პირველადი შეფასებები ამის ნათელი დადასტურებაა.**

გვინდა გაგაფრთხილოთ, რომ კულუარული გარიგებებისა და საარჩევნო მანიპულაციის გზა ქვეყანისა და თქვენთვისაც უფრო ღრმა უფსკრულისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება. კრიზისიდან გამოსვლის, სტაბილურობის, მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოს განვითარების დაწყების ერთადერთი გზა თანამშრომლობისა და კონკურენციის პოლიტიკაზე გადასვლაა.

დღეს არის შანსი, რომ საზოგადოებამ „ნაცმოძრაობას“ მიუჩინოს თავისი „დამსახურების“ შესატყვისი ადგილი და „ოცნებაზე“ მოახდინოს ზემოქმედება, ჯანსაღი პოლიტიკური სივრცის შესაქმნელად.

მივმართავთ ხელისუფლებას, გაიგონეთ საკუთარი მოქალაქეების ხმა და თქვენც გაგონილნი იქნებით მათგან!!!

**მამუკა გიორგაძე,
პაატა კოღუაშვილი**

# ნაცების პოლიტიკური უზნეობანი

**ნამდვილად დიდი და სავალალო ფაქტის მოწმე გავხდით, ვგულისხმობ საპრეზიდენტო არჩევნებში ფაქტობრივად „ოცნების“ დამარცხებას. ეს ვითარება ყველა გონიერი ქართველისათვის საგანგაშო და შეურაცხმყოფელია და რაშიც, ძალაუნებურად, ბიძინა ივანიშვილს ვადანაშაულებ.**

დიდი ქველმოქმედია ბატონი ბიძინა, დიდი სამსახური გაუწია მან სამშობლოს, როდესაც დანაშაულებრივი სააკაშვილის რეჟიმი თავიდან მოგვაშორა, მაგრამ, რუსთაველის თქმას მოვიშველიებ: „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!“ როგორ გაბედე ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცმა, ბატონო ბიძინა, თავი ბრძენზე უბრძნესად გამოგეცხადებინა, გველი „ნაციონალური მოძრაობა“ გულის უბეში მოგეთბო და შემდეგ პარლამენტში დაგესვა?! მე მოგახსენებ იმას, რასაც ყველა პატიოსანი ქართველი ფიქრობს: ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ჩვენ ვიკითხოთ, თორემ ბიძინა ივანიშვილი სადაც მოისურვებს, იქით გაუჩინარდებაო. გაიძულებს ვინმე ასეთ ქმედებას? მაშინ კაცურად აღიარე და მართლაც გაუჩინარდი! ამას გეუბნები ადამიანი, რომელმაც ჯერ კიდევ 2006 წელს, თბილისში გამოცემულ ჩემს ექვსასგვერდიან წიგნში „ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში“ ნაცმოძრაობა, სრული დასაბუთებით, ფაშიზმად მოვიხსენიე. თუ არ დაისჯებიან ნაცმოძრაობის ბობოლა დამნაშავეები, რომლებიც დღეს პარლამენტში გისხედან, თუ საერთოდ არ აიკრძალება ნაცმოძრაობა, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია, საქართველოს მომავალი არ უწერია, ხოლო შენ, ამის გამო, ჩვენი ცოდვა გაგყვება მეშვიდე თაობამდე!

კაცმა რომ თქვას, მკითხველს შეუძლია ჩემზე გაიფიქროს: „ვინ არის ეს თავგადაკლული „ნაცების“ მტერი, ხომ არ არის ის „ოცნების პარტიის“ წევრი ან ერთი იმათგანი, ვინც ბ. ივანიშვილისგან ყოველთვიურად „დახმარებას“ ღებულობსო? არა, ძვირფასო მკითხველო, არც ერთი და არც მეორე! უბრალოდ, გარემოება მიკარნახებს, ასე ვწერო. თუ რა გარემოებაა ეს, ახლავე მოგახსენებთ. **დღევანდელი გაჭირვებული მოსახლეობის ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ „ოცნების“**



**დამხობით და ისევ „ნაცების“ სათავეში მობრუნებით, მათ მდგომარეობა გამოუსწორდებათ. საბედისწერო შეცდომა გახლავთ ეს.**

ერთ ისტორიულ მაგალითს მოვუხმობ შედარებისთვის, თუმცა, ყოველი შედარება, როგორც ცნობილია, სრულფასოვანი არ არის. ცნობილია, რომ ბიზანტიის აღსასრულის ჟამს, როდესაც კონსტანტინეპოლის კედლებს თურქული არმია ბარბაროსულად ანგრევდა, მოსახლეობაში მაინც ასეთი აზრი იყო გამეფებული: „ლათინელებს ისევ თურქები სჯობიან!“ ამ აზრის ერთი ასეთი მომხრე იყო ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის მინისტრი მეგადუკს ლუკა ნოტარი, რომელსაც მიაკუთვნებენ გამოთქმას: „მირჩევნია კონსტანტინეპოლში ვიხილო თურქული დოლბანდი, ვიდრე კარდინალის მიტრა“. ისტორიკოსის ცნობით, დაპყრობილ კონსტანტინეპოლში სულთანი მეგადუკს ლუკა ნოტარს თავიდან მოწიწებით ეპყრობოდა, მაგრამ, შემდეგ აზრი შეიცვალა და იგი ერთგულებაში რომ გამოეცადა, „საღამოს, ქეიფის დროს, ღვინისაგან გახურებულმა მეჰმედმა“ (რაც მას ჩვეულებად ჰქონდა და ასევე ცნობილი იყო თავისი ამბივალენტური სექსუალური გემოვნებით) ნოტარის სახლში საჭურისი მიაგზავნა მოთხოვნით: გამოეგზავნა თავისი თოთხმეტი წლის სასიამოვნო შესახედაობის ვაჟიშვილი სულთნის გასართობად. როდესაც სულთანმა უარი მიიღო, მაშინ მან ბრძანება გასცა და ნოტარს, მის ვაჟიშვილსა და სიძეს თავი წარკვეთეს და, როგორც ამბობდნენ, სამივე თავი სულთნის საქეიფო სუფრაზე დადეს!..“ (ლორდი კინროსი, ოსმალური იმპერიის აღზევება და დაცემა, ნიუ-იორკი, 1977).

**ასე რომ, „მირჩევნია ვიხილო თურქული დოლბანდი, ვიდრე კარდინალის მიტრა“, ანუ მირჩევნია საქართველოს ისევ „ნაცმოძრაობა“ მართავდეს, ვიდრე „ოცნების პარტია“ — ძალზე სახიფათო გადაწყვეტილება იქნება. სხვა იტყვის — ძალზე გადამეტებული შედარებააო, მაგრამ, ნამდვილად კი? გირგვლიანის და მისი თანატოლების სადისტური მკვლელობები, საპატიმროებში კაცების სადისტური გაუპატიურებები, ჭაბუკებისა და სამხედროების („ღალატისათვის“) უმოწყალო ჩახოცვა, და შემდეგ ყოველივეს ვიდეოფირებზე გადაღება, მათ შორის, კერძო ცხოვრების — შანტაჟისთვის, ყოველივე ეს თვალნათლივ გვიჩვენებს „ნაცების“ უზნეობასა და სისასტიკეს.**

მკითხველს ძალიან მინდა შევახსენო შესანიშნავი ინგლისელი მწერლისა და პუბლიცისტის ჯორჯ ორუელის წერილი „სულიერ მოძღვართა პრივილეგია“. აქ ორუელი ასეთ რამეს წერს: „ხვალ რომ შექსპირი დედამიწაზე დაბრუნდეს და აღმოჩნდეს, რომ თავისუფალ დროს მისი საყვარელი გართობა პატარა გოგონების გაუპატიურებაა რკინიგზის ვაგონებში, ჩვენ არ უნდა ვუთხრათ მას, რომ მან გააგრძელოს ეს საზიზღრობა, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ძალუძს დაწეროს კიდევ ერთი „მეფე ლირი“.

მწერლის მთელი ეს ირონია შეიძლება მივუსადაგოთ მომღერალ **პაატა ბურჭულაძეს: ის ფაქტი, რომ ბურჭულაძე კარგი მომღერალია, სრულიად არ ათავისუფლებს მას იმ პასუხისმგებლობისგან, რასაც „იავნანას“ ფონდის განიავება ჰქვია. თავის დაძვრენის მიზნით ბურჭულაძე ნაცმოძრაობას მიეტმასნა, რაც აშკარად პოლიტიკური უზნეობაა.**



ვფიქრობ, მკითხველისათვის ესეც საკმარისია.

საერთოდ, მსგავსი უზნეობებითაა სავსე არამზადა ნაცების მთელი ბიოგრაფია.

**ვიქტორ რცხილაძე**

---



## მამუკა ხაზარაძე:

# ერთხელ და სამუდამოდ ვუთხრათ არა შურისძიებას, რევანშიზმს, რათა დაპირისპირებებმა დამღუპველი შედეგები არ მოუტანოს ქვეყანას!

„თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **მამუკა ხაზარაძე** საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს აფასებს და მიიჩნევს, რომ ქვეყანა რევანშიზმის საფრთხის წინაშე დგას, რომელსაც შეუძლია საქართველოს განვითარება რამდენიმე წლით შეაფერხოს და გამოიწვიოს ქაოსი.

**„პოლიტიკაში არასდროს ჩავრეულვარ, მაგრამ ახლა თავს მოვალედ ვთვლი, ქვეყანაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით რამდენიმე სიტყვა ვთქვა. 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა ნათლად დაგვანახა მოსახლეობის შეცვლილი განწყობა მმართველი პარტიის მიმართ.**

**მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბიზნესი თავისუფალია და ბევრ წარმატებას მივაღწიეთ, ჩემი აზრით, ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა კიდევ განსახორციელებელია. როგორც ბიზნესის წარმომადგენელი, დიდი იმედით შევცქეროდი სასამართლო სისტემაში მოსალოდნელ რადიკალურ რეფორმებს, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოსა თუ ზოგადად, სამართლიანობის შეგრძნების გაჩენისთვის. სამწუხაროდ, დღემდე ეს არ მოხდა, მაგრამ ახლა გაცილებით რთული და გამოწვევებით სავსე რეალობის წინაშე დავდექით. ეს არის რევანშიზმი, რომელსაც შეუძლია ქვეყნის განვითარება რამდენიმე წლით შეაფერხოს და გამოიწვიოს ქაოსი. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის განცხადებებიც, რომელიც რამდენიმე თვეა, მესმის და რომელიც განუწყვეტლივ გრძელდება თუნდაც ჩემი და ჩემი კომპანიების, ჩემი მონაწილეობით წარმოებული ბიზნესებისა და იმ პროექტების მიმართ, რომელიც ჩემი და ჩვენი 10 000-კაციანი გუნდის ღრმა რწმენით, უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის მომავლისთვის.**

**მინდა, ვუპასუხო „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის ბოლოდროინდელ განცხადებას, რომელიც შეიცავს მოწოდებას კერძო ქონების ჩამორთმევა-ექსპროპრიაციისკენ და ასევე განცხადებას ანაკლიის პორტთან დაკავშირებით. სრულიად მიუღებელია ქონების წართმევის მუქარა, ხოლო, რაც შეეხება ანაკლიის პორტის პროექტს, მისი ასაშენებელი ტერიტორია, სადაც აქამდე ჭაობი იყო, ჩვენთვის „უფასოდ“ არავის უჩუქებია. პროექტის განხორციელების უფლება ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ერთად მოვიპოვეთ საერთაშორისო ტენდერში კონკურენციის პირობებში. ანაკლია სწორედაც რომ ქართველი ხალხისაა და აშენების შემდეგ, სახელმწიფოსთან არსებული ხელშეკრულების თანახმად, მას უბრუნდება. მისი სიკეთე არა „რამდენიმე ადამიანის გამდიდრებას“, როგორც ეს ეთერში ნათქვამი იყო, არამედ საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობას ემსახურება, ემსახურება ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობისა და უამრავი სამუშაო ადგილის შექმნას, ქვეყნის უსაფრთხოებისა და გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაზრდას. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი ხორციელდება უშუალოდ საოკუპაციო ზოლთან და დასაფასებელია ის დიდი რისკი, რომელსაც იღებს ადგილობრივი თუ უცხოელი ინვესტორი. მათ შორის, ცნობილი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები.**

**კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ ჩემი და ჩვენი დიდი გუნდის სურვილია, დასრულდეს ქვეყნის ორ ბანაკად გაყოფა, პოლარიზაცია და დაპირისპირება. მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ ვყოფილვარ დარტყმის ობიექტი, 2004 წელს ჩემზე პირადად აღუძრავთ სისხლის სამართლის საქმე სრულიად აბსურდული ბრალდებით, რომლის წარმოება არაერთი წელი გრძელდებოდა, 2007 წელს თიბისი ბანკს პრაქტიკულად შეუჩერდა ძირითადი საქმიანობის — კრედიტების გაცემის საშუალება, იყო ჩემი პირადი ქონების წართმევის მცდელობა აჭარაში რამდენიმე წლის განმავლობაში, რომელიც შეწყდა 2012 წელს სასამართლო გადაწყვეტილებით, უსაფუძვლობის გამო. აღარ შევჩერდები სხვა ბიზნესმენთა მაგალითებზე. მიუხედავად ამისა, სამაგიეროს გადახდაზე არასდროს გვიფიქრია და დღეს, ერთხელ და სამუდამოდ ვუთხრათ არა შურისძიებას, რევანშიზმს, რათა დაპირისპირებებმა არ გადაგვიყოლოს და დამღუპველი შედეგები არ მოუტანოს ქვეყანას“,** — ნათქვამია ხაზარაძის განცხადებაში.

# სოციალურად დაუცველი 16 წლამდე ბავშვების დახმარება იზრდება

**სოციალურად დაუცველი 16 წლამდე ბავშვების დახმარება ხუთჯერ გაიზრდება და ბავშვიანი ოჯახები ამჟამად არსებული 10-ლარიანი დახმარების ნაცვლად მიიღებენ 50-ლარიან დახმარებას,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომის წინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მთავრობის მეთაურის თქმით, აღნიშნული ინიციატივა 140 000-მდე ბავშვს შეეხება.

**„ჩვენ ამის შესახებ საუბარი გვქონდა გაზაფხულზეც, როდესაც UNICEF-ის კვლევა გამოქვეყნდა და იმ კონკრეტული რეკომენდაციების შესახებ, რომელიც ასახული იყო ამ კვლევაში. ჩვენი პოლიტიკური გუნდის მთავარი პრიორიტეტი მუდამ იყო და არის ადამიანი, როგორც მთავარი ფასეულობა. ჩვენი ხელისუფლების პირობებში მოხდა სწორედ ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები სოციალური პოლიტიკის თვალსაზრისით, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით. აქ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში საყოველთაო ჯანდაცვის და დაზღვევის სისტემა მინდა გამოვყო, მაგრამ რაც შეეხება ჩვენი სოციალური დახმარების პოლიტიკას, ამ ნაწილში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გვექნებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, დღეს საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ბავშვი, რომლებსაც სახელმწიფოსაგან განსაკუთრებული ყურადღება და ზრუნვა სჭირდება.

**„ჩვენ მთლიანად ვაცნობიერებთ პასუხისმგებლობას, რომ ბავშვთა სოციალური დაცვის თვალსაზრისით დღემდე არსებული სისტემა შესაცვლელია და სწორედ UNICEF-ის რეკომენდაციებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ ახალი სისტემა. შესაბამისად, ის იქნება ასახული უკვე მომავალი წლის ბიუჯეტში“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, აქტიურად გაგრძელდება ამ მიმართულებით მუშაობა და მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ სწორედ ბავშვები იყვნენ ყველაზე მეტად დაცული, მათ ჰქონდეთ განვითარების თანაბარი პირობები და ღირსეული მომავალი.

# ...ბავშვები 30-ლარიან კვების ვაუჩერს და 20 ლარს მიიღებენ

ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, დახმარების 50 ლარამდე გაზრდის შედეგად, სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვები 30-ლარიან კვების ვაუჩერს, ხოლო თანხის სახით 20 ლარს მიიღებენ. სერგეენკოს თქმით, საუბარია 100 ათასზე ნაკლები ქულის მქონე ოჯახებზე. მინისტრის თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტში ამისთვის 70 მილიონი ლარი გამოიყოფა.



**„პროექტის განხორციელება დაიწყება პირველი იანვრიდან. 2017 წელს ჩატარდა კვლევა და რომ არ ყოფილიყო 10-ლარიანი დახმარება, რომელიც გავააქტიურეთ 2015 წელს, უკიდურესი სიღარიბე გაიზრდებოდა 6,85%-დან 13,1%-მდე. 10-მა ლარმა სიღარიბის მაჩვენებლის გაორმაგება შეამცირა. ახლა ძალაში შევა 50-ლარიანი დახმარება. გამიჭირდება გითხრათ, რა პროცენტულ გავლენას იქონიებს ეს სიღარიბის შემცირებაზე, მაგრამ 10 ლარმა თუ შეამცირა, 50 ლარს უფრო მეტი გავლენა ექნება“,** — აღნიშნა დავით სერგეენკომ.

# კვერცხი უფრო ადრე გაძვირდება თუ ქათამი?

**საქართველოში ხორცპროდუქტების გაძვირება დაიწყო და პირველი სიგნალი მეფრინველეობის ასოციაციამ გამოაგზავნა.** მეწარმეები ადასტურებენ, რომ მათი ნაწარმი გაძვირდება და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: ვალუტის დევალვაციამ და ნედლეულის სიძვირემ დიდი პრობლემა შექმნა.

**„საქართველოს მეფრინველეობის განვითარების ასოციაციის“ ხელმძღვანელი ზურაბ უჩუმბეგაშვილი** ამბობს, რომ გუშინ კვერცხის მწარმოებლებმა სადისტრიბუციო კომპანიებს პროდუქცია უკვე გაზრდილი ფასით მიაწოდეს. კვერცხზე ფაბრიკიდან გასაყიდმა ფასმა 1,5 თეთრით მოიმატა. მალე კი ქათმის ხორციც



გაძვირდება, სავარაუდოდ, 4-5%-ის ფარგლებში.

**„გუშინ უკვე ახალი ფასით გავუშვით კვერცხი ქსელში. პირველი კატეგორიის კვერცხის ფასი (ფაბრიკიდან დისტრიბუციაზე გასაცემი) ყუთზე 108 ლარს შეადგენდა და 114 ლარი გახდა. ყუთში 360 ცალი კვერცხია, ანუ კვერცხის ფასმა 1,6 თეთრით მოიმატა. ამის მიზეზი კი, უპირველეს ყოვლისა, ლარის კურსის ზრდაა, რადგან ჩვენი პროდუქციის თვითღირებულების 80% იმპორტზე მოდის, ანუ ფრინველის საკვები, თვითონ მეკვერცხული მიმართულების წიწილაც უცხოეთიდან შემოგვაქვს, ერთდღიანი წიწილი გერმანიიდან, ჰოლანდიიდან და თურქეთიდან შემოგვყავს.**

**რაც შეეხება საკვებს — ხორბალს და სიმინდს, თითქმის მთლიანად რუსეთისაა, მზესუმზირის შროტი უკრაინიდან შემოგვაქვს, სოიო — არგენტინიდან და ბრაზილიიდან, შესაფუთი მასალები კი თურქული, ან ირანულია. შესაბამისად, ლარის გაუფასურება ჩვენზე უკვე აისახა და კვერცხი დაახლოებით 4%-ით გაძვირდა. გარდაუვალია ქათმის ხორცის გაძვირებაც“,** — განაცხადა უჩუმბეგაშვილმა.

„საქსტატის“ მონაცემებით, დღეისთვის ქართულ ბაზარზე 10 კვერცხის საშუალო ღირებულება 3 ლარსა და 22 თეთრს შეადგენს, ანუ ერთი კვერცხის ღირებულება 32,2 თეთრია. რაც შეეხება ქათმის ხორცს, ბაზარზე 1 კგ გაყინული ქათმის ხორცის ღირებულება 6 ლარსა და 56 თეთრს შეადგენს. ლარის კურსის გაუფასურების გარდა, ხორცის გაძვირების სხვა მიზეზიც არსებობს — მარცვლეულის გაძვირება, რამაც მეფრინველეობის პროდუქციის ფასის ზრდა გარდაუვალი გახადა.

**„შარშან კილოგრამი მარცვალი 47-48 თეთრი ღირდა, ყველაზე კარგი ხარისხის — 50 თეთრი, დღეს კი მისმა ფასმა 62-63 თეთრს მიაღწია, ანუ თვითონ საკვები ბაზაც გაგვიძვირდა. გარდა ამისა, მოლოდინებია ძალიან ცუდი, რადგან საუბარი იყო, რომ სახმელეთო ტრანსპორტით მარცვლეულის შემოტანა უნდა აკრძალულიყო. ეს გადაწყვეტილება კი შეჩერდა დროებით და მთავრობა იძახის, რომ ერთი წლით გადაავადა, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერად ითქვა და არსად მინახავს წერილობითი ბრძანება... შესაბამისად, მოლოდინი იმისა, რომ შესაძლოა, მთავრობამ გადაიფიქროს, კვლავ რჩება, რაც კიდევ უფრო გააძვირებს მარცვლეულს“,** — აღნიშნა ზურაბ უჩუმბეგაშვილმა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეფრინველეობა არ არის ერთადერთი დარგი, სადაც გაძვირება დაწყებულია. სამომხმარებლო ბაზარზე ბოლო ერთ თვეში მოიმატა საქონლის ხორცის ფასმა. ამ შემთხვევაში საკვების სიძვირე არაფერ შუაშია. საქმე ექსპორტს ეხება. საქართველოდან ცოცხალი პირუტყვის გაყვანა მეზობელ ქვეყნებში ისევ განახლდა. შესაბამისად, ბაზარზე დიდია მოთხოვნაც და კონკურენციაც. ამიტომაც ფასი მაღლა დაიძრა. 1 კგ საქონლის ხორცი უკვე 1,5 ლარით გაძვირდა და ტენდენცია ჯერ კიდევ მზარდია. ზამთარში და გაზაფხულის პირზე, როდესაც პირუტყვის დაკვლას ყველა ერიდება, შეიძლება, ფასი კიდევ უფრო გაიზარდოს.

**ბექა დანელია**

# თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს განცხადება

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შესაბამისი კვლევების ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ იმ საბავშვო ბაგა-ბაღებში, სადაც დაფიქსირდა ნაწლავური ინფექციით აღსაზრდელთა დაავადების ფაქტები, საკვები პროდუქტები აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, არის ეკოლოგიურად სუფთა და არ შეიცავს ჯანმრთელობისათვის საშიშ მიკრობიოლოგიურ ელემენტებს.

**„საბავშვო ბაღებში არსებული პროდუქტის სინჯები გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საგამოცდო ლაბორატორიაში გამოიკვლიეს. კვლევა ადასტურებს, რომ აღსაზრდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ბაგა-ბაღებში მიღებული საკვებით ინტოქსიკაციის შედეგად გამოწვეული არ ყოფილა. საკვების პარალელურად, ლაბორატორიულად შემოწმდა ბაღების კვების ბლოკიდან აღებული წყალი, კედლის სინჯები და საკვებთან კონტაქტში მყოფი პერსონალი.**

**15 ოქტომბრის შემდეგ თბილისის საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა ჯანმრთელობის გაუარესების ფაქტების შესახებ ინფორმაცია ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს თბილისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა გასულ კვირას მიაწოდა. ინფორმაციის თანახმად, ყველა პაციენტს აღენიშნებოდა იდენტური სიმპტომები — გულისრევა, დიარეა და მაღალი ტემპერატურა. დიაგნოზი ერთეულ შემთხვევებში იყო შიგელა, ანუ დიზენტერია.**

**აღნიშნულ ინფორმაციას, კვებითი ინტოქსიკაციის გამორიცხვის მიზნით, საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მხრიდან მოჰყვა მყისიერი რეაგირება და მიზეზების დადგენისთვის განხორციელდა ყველა საჭირო ღონისძიება.**



**აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ საბავშვო ბაღებში შესული პროდუქტის ვარგისიანობა დასტურდება მომმარაგებელი კომპანიის მიერ ყოველკვარტალურად წარმოდგენილი ხარისხის სერტიფიკატებითა და თვეში ერთხელ წარმოდგენილი მიკრობიოლოგიური კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტებით.**

**აღსანიშნავია, რომ მომწოდებელ კომპანიას ინდივიდუალური ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული თბილისში მოქმედ 180 ბაგა-ბაღთან და თითოეული მათგანი პროდუქტს ამოწმებს როგორც დოკუმენტურად, ისე ვიზუალურად, დაწესებულებაში მისი შეტანის მომენტში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თბილისის ბაღებში ჰიგიენის დაცვა ხდება დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ამასთან, მუდმივი ხასიათი აქვს მონიტორინგს, რომელსაც სააგენტოს სპეციალისტები და სურსათის ეროვნული სააგენტო ყოველდღიურ რეჟიმში ატარებენ“,** — ნათქვამია განცხადებაში.

# პოლარიზებული ტელემედია

**– რა გზით იღებენ ინფორმაციას ბათუმელები ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე და რომელ საინფორმაციო წყაროებს იყენებენ ამისთვის?**

**– ამ კითხვაზე ბათუმის ქუჩებში გამოკითხული მოქალაქეების ნაწილი ამბობს, რომ ქართულენოვან სატელევიზიო არხებს უყურებს, ნაწილი კი ინფორმაციას ონლაინ-მედიისა და სოციალური ქსელების გამოყენებით იღებს, თუმცა მათი უმეტესობა იმასაც აღნიშნავს, რომ:**




„არასანდოა ქართული მედია, იმიტომ რომ არის რეალურად ორი ჯგუფი: ერთნი ამართლებენ ოპოზიციას, მეორენი ხელისუფლებას და რეალურ ინფორმაციას არ გადმოსცემენ, არიან მიკერძოებული, ჟურნალისტი ყოველთვის ეძებს სკანდალს და რაც ხალხს აწუხებს, იმ რეალურ პრობლემებზე არ საუბრობს" **(გიორგი კალანდაძე)**.

„ყველა პოლიტიკურ საკითხზე მოლაპარაკე საიტები გამოვრთე სოციალურ ქსელში, ტელევიზორი კი არ მაქვს და ახლო მეგობრები, რომლების პოლიტიკური ხედვა ჯანსაღად მიმაჩნია, მხოლოდ მათ პოსტებს ვკითხულობ. ვფიქრობ, რომ პრობლემაა, როცა ტელევიზიების მთავარი ნიუსები არის პოლიტიკური და პარტიულის გარდა ამბებს მხოლოდ 10 %-ს უთმობენ. პირიქით რომ იყოს, უკეთესი იქნება" **(ნინო ჩხაიძე)**.

„უნდა იყოს სივრცე, სადაც ხალხს შეეძლება დისკუსია რეალურ პრობლემებზე. მაგალითად, ამ ქალაქში არის ძალიან ბევრი პრობლემა: სივრცის პრობლემა, განაშენიანების პრობლემა, გადაადგილების და სხვა. ტელევიზია კი ამ დროს სერიალების გაშვებით არ უნდა იყოს დაკავებული, უნდა აჩვენოს, რეალურად რა ხდება ამ ქალაქში".

„ქართული მედია ყველა ერთნაირად მუშაობს. საქმე იმაშია, რომ მედიას დაკვეთას აძლევენ და ყველა მოვლენის გაშუქების უფლებას არ აძლევენ. დღევანდელი მთავრობის ამბავია ეს".

„იმდენად ბევრი ოპოზიციური არხი გვაქვს უკვე საქართველოში, რომ ვის უნდა ენდო? ვისგან უნდა გაიგო ის შუალედური ოქროს სიმართლე? ამას ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ. მიდის ერთმანეთის ლანძღვა-გინება. ამ შემთხვევაში ძალიან დაბნეულია ხალხი, ვისკენ გადავიხაროთ, ვის ვენდოთ, ვისგან გავიგებთ სიმართლეს? ჟურნალისტი მიუკერძოებელი უნდა იყოს! როგორც ექიმი დებს ფიცს და კი არ უნდა მოემსახუროს, არამედ დაეხმაროს... ასევე უნდა დაეხმაროს ჟურნალისტი ხალხს, ჩვეულებრივი ადამიანის ყურამდე უნდა მიიტანოს ჯანსაღი ინფორმაცია" **(ლია თევზაძე)**.

ქვეყანაში ერთმანეთს ებრძვის ორი პარტია, ორი ტელევიზია და საზოგადოებაში არის ძირითადად გაორებული განწყობა.

„არ მინდა ვიღაცაზე იარლიყის მიკერება, მაგრამ ჩემი გადასახედიდან დღევანდელ დღეს ობიექტური ტელევიზია, სამწუხაროდ, არ გვაქვს. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება ორადაა გახლეჩილი და ზოგი ამბობს, ის ნაცია, ის კი ქოცი და 50/50-ზეა გადანაწილებული, ოქროს შუალედის პოვნა ქართულ ტელესივრცეში მიცდია, მაგრამ რომ ვუყურებ, ან იქეთ წონიან, ან აქეთ, თანაბრობა ნაკლებადაა რომელიმე ტელევიზიაში" **(კახა აფხაზავა)**.

პოლარიზებული მედიაგარემო გახდა მიზეზი იმისა, რომ ჟურნალისტმა **ქეთი დუმბაძემ** პროფესია შეიცვალა და კერძო სექტორში გადავიდა. ამბობს, რომ, მიუხედავად გაკეთებული არჩევანისა, ქართული მედიის მუშაობას აქტიურად აკვირდება და იმასაც ადევნებს თვალს, თუ რომელ საინფორმაციო საშუალებებს იყენებენ მოქალაქეები და რა გავლენა აქვს არჩეულ მედიასაშუალებას მათზე. ქეთი დუმბაძე ამბობს, რომ მის სანაცნობო წრეში ტელევიზორი ძირითადად ორ სხვადასხვა არხზე აქვთ ჩართული და მაყურებლების პოლიტიკური შეხედულებაც შესაბამისად განსხვავდება:

**„რაც არის ძალიან ცუდი, იმიტომ რომ დღეს ქვეყანაში ორმა ნაციონალურმა ტელევიზიამ გადაწყვიტა საზოგადოების მანიპულირება. ოჯახების ნაწილში ჩართულია „რუსთავი-2", სხვა ოჯახებში კი ირთვება „იმედი". თან მოვისმინეთ, ვნახეთ განცხადება ტელეკომპანია „იმედის" საგანგებოდ ეთერში მუშაობის დაწყების შესახებ, ანუ ქვეყანაში ერთმანეთს ებრძვის ორი პარტია, ორი ტელევიზია და საზოგადოებაში არის ძირითადად ორი განწყობა. მე ამ შემთხვევაში წარმოვადგენ მესამე განწყობას და ამ საშინელი მდგომარეობიდან მთავარ გამოსავალს მაინც ვხედავ დარჩენილი მედიასაშუალებების — საზოგადოებრივი მაუწყებლის, იგივე რადიო „თავისუფლების" მიერ მაღალი ხარისხის ანალიტიკური, სხვადასხვა მოსაზრების წარმოჩენაზე ორიენტირებული მედიამასალების სახით".**

არსებულ პოლარიზებულ მედიაგარემოში ხალხის მიერ დაფინანსებული საზოგადოებრივი მაუწყებლის განსაკუთრებულ როლზე ამახვილებს ყურადღებას გაზეთ „ბათუმელების" რედაქტორი ეთერ თურაძე, რომელსაც, მისივე შეფასებით, დღეს პულსიც კი არ ესინჯება:

**„კომერციული ტელევიზიები, ვიცით, რომ არის პოლარიზებული და კონკრეტული პიროვნებების, პოლიტიკური პარტიების თუ გავლენიანი ჯგუფების ინტერესებით მუშაობენ. არა მგონია, ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს იმაში, რომ ამ ტელევიზიების უკან დგას კონკრეტული ინტერესი და ეს ინტერესი არ არის საზოგადოების ინფორმირება, არამედ ეს არის ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით გარკვეული ჯგუფის შეხედულების გავრცელება. ამ ვითარებაში კი საზოგადოებრივ მაუწყებელს არც პულსი ესინჯება და არცაა მცდელობა, რომ რამე შეიცვალოს, იმიტომ რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი შეიძლება იქცეს საშიში იმ ძალებისთვის, ვისაც აქვს საზოგადოების მართვის სურვილი ტელევიზიით და დღეს ვხედავთ ამას, რომ საარჩევნო გარემოა და სინამდვილეში ადამიანებთან კომუნიკაცია ადამიანებს არა აქვთ. არის მხოლოდ კომუნიკაცია ტელევიზორით. არის მარაზმში გადასული ჩანაწერების ჩვენება და მერე საწინააღმდეგო ჩანაწერებით პასუხი. ამას აკეთებს ყველა მხარე უკვე და ადამიანს ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გაუჭირდება სწორი არჩევანის გაკეთება, იმიტომ რომ ძალიან რთულია, პროფესიონალი ჟურნალისტისთვისაც გაარკვიოს, ვინ სად იტყუება. ასეთ ვითარებაში დაბნეული ამომრჩეველი, არაინფორმირებული ამომრჩეველი არის საქართველოში პოლიტიკური პარტიების მთავარი სამიზნე და ამას როგორ გაუშვებენ ხელიდან?"...**

მოამზადა
**ეკა ლორთქიფანიძემ**

# აჭარლებო, ნუ დავკარგავთ ძველ შემართებას!

ჩემი კუთხის შემართებაში ვგულისხმობ შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ აჭარა სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთის შემადგენლობაში იმყოფებოდა, აგრეთვე ძალდატანებით მიაღებინეს მაჰმადიანური სარწმუნოება, მაინც შეინარჩუნა ქართული ზნე-ჩვეულებანი, ენა და მათთვის ყოველთვის დაუოკებელი სურვილი იყო დედასამშობლოს — საქართველოსთან გაერთიანება.

სიტუაციის შექმნისა და ამ კუთხის გამოჩენილი ადამიანების თავდადებული ქმედებით აჭარა მე-19 საუკუნის 70-იან წლებში დედასამშობლოს დაუბრუნდა. ამ კუთხის მცხოვრებლებმა უმოკლეს დროში მოახერხეს დანარჩენი კუთხის მცხოვრებლებთან ინტეგრაცია, — ყველა აჭარელმა დაიბრუნა ადრინდელი გვარი. რასაკვირველია, არ უნდა დავივიწყოთ იმ ადამიანების ღვაწლი, რომელთაც თავი დასდეს საქართველოს ერთიანობისთვის. აი, ისინიც: აბაშიძეთა გვარი, ხიმშიაშვილები, დიასამიძეები და სხვანი.

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების დღიდან დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებასა და კეთილდღეობაში. ამ კუთხის მცხოვრებთა ყოველგვარი ქცევები ყოველთვის საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარეობს და გამოირჩევიან რეალობის შესატყვისი აზროვნებით, ამიტომ ჩემთვის მოულოდნელი იყო სააკაშვილის თანაკურსელის, თანამზრახველის ვარშალომიძის სიამაყით გაცხადებული ცნობა: აჭარლებმა გამოიჩინეს სააკაშვილის მიმართ დიდი ერთგულება და მის რჩეულ ვაშაძეს ხმა მისცეს!

რასაკვირველია, ეს ცნობა არ მსურს, დავიჯერო, მაგრამ, თუ ეს ცნობა დაადასტურეს სათანადო უწყებებმა, ჩემთვის ეს იქნება ძლიერი დარტყმა.

მე მინდა, რომ ეს დარტყმა როგორმე გადავიტანო და ჩემთან ერთად სხვა, საღად მოაზროვნე აჭარლებმა არჩევნების მეორე ტურში ეს დიდი ნაკლი გამოასწოროს.

ხმა მივცეთ სალომე ზურაბიშვილს, ანუ მშვიდობას, სიკეთეს და აჭარის აღორძინებას!

**ტრიფონ დავითაძე,**
**ინჟინერი,**
**პენსიონერი ბათუმიდან**

# ბათუმი NATO-ს სამხედრო ხომალდებს მასპინძლობს

**ბათუმის** საზღვაო ნავმისადგომში NATO-ს 5 გემის დახვედრის ცერემონია გაიმართა.

ნატოს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთის შემადგენლობაში შედის გერმანიის, თურქეთის, ესპანეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის საფლაგმანო ხომალდები.

NATO-ს სამხედრო ხომალდები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სანაპირო დაცვის დეპარტამენტთან ერთად, სხვადასხვა სწავლებასა და წვრთნებში მიიღებენ მონაწილეობას. აღნიშნული ღონისძიებების მიზანია საქართველოს და ნატოს საზღვაო ძალების ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთთავსებადობის ამაღლება.

„დღევანდელი დღე კიდევ ერთხელ ადასტურებს ნატოს ურყევ მხარდაჭერას ჩვენი ქვეყნის მიმართ. საქართველოს NATO-ში გაწევრიანების პროცესში არსებული პროგრესი ხელს შეუწყობს ჩვენს რეგიონში, ზოგადად, ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაღრმავებას. ნატოს საერთაშორისო სწავლებებში აქტიური ჩართულობა საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესია" — აღნიშნა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ, რომელმაც NATO-ს სამხედრო გემების დახვედრის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.

NATO-ს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთის მეთაური, კაპიტანი ფრანკ მაგინსკი და ხომალდების ეკიპაჟის მაღალი რანგის წარმომადგენლები აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს თორნიკე რიჟვაძეს შეხვდნენ.

შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოსა და ალიანსს შორის არსებულ მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობაზე, რასაც NATO-ს მაღალი დონის სამხედრო ხომალდების საქართველოს ტერიტორიულ წყლებში რეგულარული ვიზიტები ადასტურებს. სტუმრებმა მადლიერება გამოხატეს საქართველოს მიმართ, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტრიბუტორია ერთ სულ მოსახლეზე სამხედროთა რაოდენობით.

ნატოს ხომალდები ბათუმის ნავმისადგომში 5 ნოემბრამდე დარჩებიან. პარალელურად ბათუმში „საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენცია" მიმდინარეობს, რომელშიც ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსები, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს ექსპერტები მონაწილეობენ.





# დავით ზარდიაშვილი:

# ვაშაძისთვის ხმის მიცემა ნიშნავს ხელისუფლების დამხობისთვის მხარდაჭერას!

**კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში გრიგოლ ვაშაძე არ მალავს, რომ პირველ რიგში მიხეილ სააკაშვილს, ვანო მერაბიშვილს და ბაჩო ახალაიას შეიწყალებს, დაითხოვს არსებულ პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს. პროცედურულ საკითხებსაც რომ დავანებოთ თავი, გაცილებით საინტერესოა, პოლიტიკური ინტერესი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატს ამოძრავებს. რა არჩევანი შეიძლება გააკეთოს ქართველმა ხალხმა და რამდენად დიდია ფსონი, რომელიც იდება ერთი შეხედვით, თითქმის უუფლებო პრეზიდენტის სავარძელზე — მიმდინარე პოლიტიკურ პროცესზე ექსპერტი დავით ზარდიაშვილი გვესაუბრება.**

**— არჩევნების შედეგებიც აჩვენებს, რომ ამომრჩევლის უმრავლესობამ ხმა მისცა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამავე უმრავლესობამ ხმა მისცა ნაციონალებს. მეორე ტურმა სწორედ ეს უნდა გადაწყვიტოს, ვინ უნდა ამომრჩეველს — სალომე ზურაბიშვილი, რომელიც არც „ქართული ოცნების“ წარმომადგენელია და არც „ნაციონალური მოძრაობის“ თუ პრეზიდენტის პოსტი მიიღოს ფაშისტურმა „ნაციონალურმა მოძრაობამ?“**

**ფაქტობრივად, ხელისუფლებამ აღიარა, რომ ეს არის მათი შეცდომების შედეგი, თუმცა ერთი თვე საკმაოდ მცირე დროა იმისთვის, რომ ის გამოასწორო, რამაც ხელისუფლების მიმართ ხალხის უნდობლობა გააჩინა. ამ შემთხვევაში რჩება ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ ძალაუფლების რეინკარნაციის თემა —როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც იმუშავებს ეს ფაქტორი?**

— მთავარი პრობლემა არის ხელისუფლების გაუბედავი ნაბიჯები რეფორმების განხორციელებისას. მმართველობითი სისტემის რეფორმის გასატარებლად არც დრო ეყოთ და არც რესურსი კონსტიტუციის მიღების შემდეგ.

როდესაც მმართველობითი სისტემის განვითარებაზეა საუბარი, ისევ ის სურათი გვაქვს, რაც გვქონდა — მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა არ არის ჩართული განვითარებაში და დეცენტრალიზაციის რეფორმის განხორციელება სწორედ ამ პრობლემას მოაგვარებდა.

ახალი კონსტიტუცია 2017 წელს კი არა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე უნდა მიეღოთ. მმართველობითი სისტემის პრობლემაც გადაჭრილი იქნებოდა და პრეზიდენტის საყოველთაო წესით არჩევის პრობლემაც კარგა ხნის მოგვარებული.

ახლა მოხდა ისე, რომ პრეზიდენტს, რომელიც კონსტიტუციის თანახმად, უნდა ინიშნებოდეს, ირჩევს ხალხი, ანუ გვყავს მაღალი ლეგიტიმაციით ორი წლის წინათ არჩეული პარლამენტი და ასევე მაღალი ლეგიტიმაციით ვირჩევთ პრეზიდენტს, რომელსაც კონსტიტუციის თანახმად, უფლებები აქვს ჩამორთმეული.

სწორედ ეს ლეგიტიმაცია სჭირდებოდა თავის დროზე „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელსაც გამოიყენებდა პოლიტიკური ცენტრის შესაქმნელად და მიიღო კიდეც — შედეგად კი, ფაქტობრივად, კონსტიტუციურ ხაფანგში აღმოჩნდა ხელისუფლება.

იყო კორუფციის თემაც, რამაც იმუშავა საზოგადოებრივი განწყობის შესაქმნელად —ასე ვთქვათ, ფარცხალაძის სინდრომმა, მაგრამ არსებობს მეორე მხარეც, რომლის არდანახვა არ შეიძლება — ეს არის დეზინფორმაცია, რომელიც ვრცელდებოდა „რუსთავი-2“-ის მიერ.

ამომრჩეველი მართალია, როდესაც „ქართულ ოცნებას“ პასუხს სთხოვს დაშვებული შეცდომებისთვის, მაგრამ იმასაც ვერ დავიჯერებ, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ხმას მისცემს ნაციონალების დაბრუნებას — ეს წარმოუდგენელია.

**ნიკა გვარამიამ ნიშნისმოგებით იმის თქმაც გაბედა, რომ ახლა ვნახოთ, ვინ წავა ქვეყნიდანო. თუ ქართველი ხალხი გადაწყვეტს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა დააბრუნოს, საუბარიც არ მინდა იმაზე, რა შედეგებით შეიძლება დასრულდეს ეს ყველაფერი.**

„ნაციონალური მოძრაობა“ მთელი წინასაარჩევნო კამპანიის მანძილზე მხოლოდ იმას ცდილობდა, რაც შეიძლება, მეტად გაებოროტებინა ხალხი — მას არასდროს ულაპარაკია იმ რეალურ პრობლემებზე, რაც ქვეყანაშია. მისი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ღვარძლის გადმოღვრა და შუღლის გაღვივება იყო.

ამ არჩევნების კონტექსტი არის ის, რომ ქვეყანას ჰყავდეს პრეზიდენტი, რომელიც იქნება ხალხის გამაერთიანებელი. თქვენ გჯერათ, რომ სწორედ ამას გააკეთებს „ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი?! არა და არა, ამ პოსტს ის გამოიყენებს რევოლუციის ინსცენირებისა და ხელისუფლების დამხობისთვის.

თუ შექმნილ მდგომარეობას პარტიული ცხოვრების კონტექსტში განვიხილავთ, „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო დარტყმა, რომელიც დაიმსახურა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყანა უნდა დაზიანდეს, ზეპარტიულობის იდეა გაიწიროს და ახალ რევოლუციურ უფსკრულში გადავიჩეხოთ. მთავარი ეს არის და ამიტომ ვარ დარწმუნებული, რომ მეორე ტურში ადეკვატურ გადაწყვეტილებას მიიღებს ქართველი ხალხი.

როგორც ჩანს, ის შემოლაწუნება, რაც „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო პირველ ტურში, საჭირო იყო და ეს გადაწყვეტილება მიიღო ქართველმა ამორჩეველმა და არა რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ.

**მაგრამ ასე გავაგრძელოთ და ნაციონალები დავაბრუნოთ? — ვაშაძისთვის ხმის მიცემა ნიშნავს ხელისუფლების დამხობისთვის ხმის მიცემას, რადგან არანაირი კონსტიტუციური მექანიზმი, რომ ხელისუფლება შეიცვალოს 2020 წლამდე, არ არსებობს. როდესაც აცხადებენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევცვლით ხელისუფლებასო, ეს ნიშნავს, სიტუაციის რევოლუციურ კალაპოტში გადაყვანას.**

მართალია, კონსტიტუციით პრეზიდენტი პოლიტიკური ძალის ცენტრი არ არის, თუ ვაშაძე იქნება პრეზიდენტი, ის შექმნის კონტრძალაუფლებას, მთელი თავისი პოლიტიკური ინფრასტრუქტურით და დაუპირისპირდება ხელისუფლებას.

შეიძლება, სააკაშვილი ჩამოიყვანოს, ან — არა, ახალაია შეიწყალოს, ან — არა, მაგრამ მთავარია, რომ ის იქნება ძალა, რომელიც ხელისუფლებას დაუპირისპირდება და, ცხადია, ეს არ მოხდება მხოლოდ კონსტიტუციური მეთოდებით. გამოყენებული იქნება ყველა რესურსი, მათ შორის, დეზინფორმაციული პროპაგანდის მანქანა „რუსთავი 2“-ის სახით.

**— საკითხავია, ამ ყველაფერს გაითვალისწინებს ამომრჩეველი, რომელიც ხელისუფლებაზე გაბრაზებულია?**

— პირველ ტურში ხელისუფლებამ მიიღო პასუხი საკუთარი შეცდომებისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამის გამო ნაციონალები უნდა დავაბრუნოთ და იმედი მაქვს, ეყოფა ხალხს ამისი გონიერება.

„ქართული ოცნების“ წამომადგენლებმაც უნდა დაანახონ საზოგადოებას, რომ რეალურად გაიაზრეს რაც მოხდა და მზად არიან, შეცდომები გამოასწორონ.

**— თქვენ აღნიშნეთ „რუსთავი-2“-ის როლი შექმნილ სიტუაციაში, ალბათ, გულისხმობთ იმ ფარულ ჩანაწერებსაც, რომელიც ხელისუფლებას კორუფციაში ამხელდა. საინტერესოა, ვინ უსმენს ხელისუფლებას და შემდეგ ვინ იყენებს ამ მასალას პოლიტიკური მიზნისთვის. საუბრების შინაარსზე მეტად, ალბათ, ხელისუფლების უსუსურობის წამოჩინებაა საყურადღებო თემა. როგორ ფიქრობთ, უფრო სერიოზული რეაგირება, ვგულისხმობ, დემოკრატიულ ფარგლებში, მეტ იმიჯს ხომ არ შემატებდა ხელისუფლებას, ვიდრე მაგალითად, საპასუხო ფარული ჩანაწერების გავრცელება სხვა ტელეკომპანიის ეთერით?**

— საინფორმაციო ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც ინფორმაციის მოპოვების და გავრცელების უამრავი საშუალება არსებობს და მისი გაკონტროლება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

მიუხედავად ამ ტექნიკური შესაძლებლობებისა, საზოგადოება უნდა იყოს დაცული. გარდა ამისა, ისიც ცნობილია, რომ ჩანაწერი, რომელიც კანონის დარღვევით არის მოპოვებული, იურიდიული ძალის არმქონეა და საზოგადოების დამოკიდებულებაც ასეთი უნდა იყოს — ვინც ამ ფარულ ჩანაწერებს იყენებს პოლიტიკური მიზნებისთვის, მას, უბრალოდ, არ ენდოს.

**— იმედია, საზოგადოება კიდევ ერთ შანსს მისცემს ხელისუფლებასაც, საკუთარ თავსაც და მეორე ტურში გონივრულ არჩევანს გააკეთებს. სად არის გარანტია, რომ „ქართული ოცნება“ ისევ დინებას არ გაჰყვება და გააკეთებს იმას, რაც ბევრად ადრე უნდა გაეკეთებინა? ამის რესურსს ხედავთ?**

— რაკი ხელისუფლების წყარო ხალხია და მან დაანახა ხელისუფლებას, რომ რაკი ასეთი შეცდომები დაუშვი, როგორც მოგიყვანე, ასევე გაგიშვებ! 2020 წლამდე ბევრი აღარ არის დარჩენილი და ხელისუფლება „ყვითლის“ შემდეგ „წითელ ბარათსაც“ მიიღებს.

ასეთ შემთხვევაში კი, როგორც უსუფაშვილმა თქვა, ისევე უცებ გაქრება „ქართული ოცნება“ პოლიტიკური ასპარეზიდან, როგორც გაჩნდა. ნაციონალებივით ვერ შეინარჩუნებენ ოპოზიციაში საკუთარ თავს — ეს თავადაც კარგად იციან და იმედია, შესაბამის დასკვნებსაც გამოიტანენ.

2020 წელი შორს არ არის — საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგი გარკვეული პოზიტივიც არის, მე თუ მკითხავთ — თუკი ხალხის სურვილს რეალურად დაინახავს ხელისუფლება, ადეკვატურად გაიაზრებს და შესაბამის ზომებსაც გაატარებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაცილებით მწარე პასუხს მიიღებს — ხალხს აქვს ამის ძალა და არა მხოლოდ არჩევნებზე, ნებისმიერ დროს შეუძლია საკუთარი სურვილი გამოხატოს.

**ესაუბრა**
**ლალი ზირაქიშვილი**

# კანაფის კულტივაციის კანონპროექტის გაწვევის საფუძველი არჩევნებიც გახდა!

**„გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მოხდება კანონპროექტის გაწვევა“,** — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ირაკლი კობახიძის თქმით, მმართველმა გუნდმა შეასრულა პირობა, რომ კანაფის კულტივაციასთან დაკავშირებული კანონპროექტის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება ფართო კონსენსუსის საფუძველზე იქნებოდა მიღებული.

**„მინდა, მადლობა გადავუხადო უწმინდესს, წმინდა სინოდის წევრებს, მეუფეებს შეხვედრისთვის, თბილი მიღებისთვის, დალოცვისთვის. ჩვენ გვქონდა საუბარი მთელ რიგ საკითხებზე, რომელიც არის, რა თქმა უნდა, საინტერესო ეკლესიისთვის. მთავარი საკითხი იყო, რა თქმა უნდა, კანონპროექტი, რომელიც ეხება კანაფის კულტივაციას. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ გვქონდა მსჯელობა გუნდში. გვქონდა მსჯელობა, ასევე, უმრავლესობის შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდა პრეზიდენტობის კანდიდატი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი და ჩვენ აქ მივიღეთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მოხდება კანონპროექტის გაწვევა. როგორც მოგეხსენებათ, იყო განსხვავებული პოზიციები გუნდის შიგნით. ჩვენ იმთავითვე განვაცხადეთ, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, ამ კანონპროექტთან დაკავშირებით, მიღებული იქნებოდა ფართო კონსესუნსის საფუძველზე. იქნებოდა ეს გადაწყვეტილება მიღებული ეკლესიასთან შეთანხმებით საზოგადოების ფართო კონსენსუსით. ეს პირობა ჩვენ შევასრულეთ. საუბარი აქ იყო ვადებზე, თუმცა, განსაკუთრებით ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა დააფიქსირა პრინციპული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოების განწყობიდან გამომდინარე, არ იყო მიზანშეწონილი ამ გადაწყვეტილების მიღების გადავადება. შესაბამისად, ჩვენ მივიღეთ ახლავე ეს გადაწყვეტილება“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ, ასევე, გათვალისწინებულ იქნა სხვა კონფესიების წარმომადგენელთა და ზოგადად, საზოგადოების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. მისივე თქმით, ეს არის პრინციპული გადაწყვეტილება, რომელიც მთავრობის უახლოეს სხდომაზე გაფორმდება.

**კითხვაზე — უკავშირდება თუ არა კანონპროექტის გაწვევა საპრეზიდენტო არჩევნებს, პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების ფართო კონსენსუსის საფუძველზე მიღების პირობა მმართველმა გუნდმა თავიდანვე დადო. მისივე თქმით, „არჩევნებმაც გვაჩვენა დამატებით ის განწყობა, რომელიც არის ჩამოყალიბებული საზოგადოებაში და, რა თქმა უნდა, ესეც გახდა გადაწყვეტილების მიღების საფუძველი“.**



# რა მოხდება, როცა ერთ-ერთს აირჩევენ?..

# ვინ რას გააკეთებს პირველად?

კონსტიტუციონალისტი **ავთანდილ დემეტრაშვილი,** რომელიც ახალი საკონსტიტუციო კომისიის წევრი იყო, რადიო „თავისუფლებასთან" საუბარში განმარტავს, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი. თუმცა, მიუხედავად ამისა, გრიგოლ ვაშაძე, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის" წევრია, შეეცდება, დაიცვას თავისი პარტიის ინტერესები და შესაძლოა, გაერთიანებული ოპოზიციის სახელითაც კი ილაპარაკოს. მაგრამ ფორმალურად, მან უნდა დატოვოს პარტია. კანონი ამასვე მოსთხოვდა სალომე ზურაბიშვილს, რომელიმე პარტიის წევრი რომ ყოფილიყო.

ავთანდილ დემეტრაშვილი არ იზიარებს არსებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტს მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა ექნება, რადგანაც:

- **თუ ირაკლი კობახიძე არის პარლამენტის თავმჯდომარე, მამუკა ბახტაძე კი – მთავრობისა, პრეზიდენტი არის მთელი სახელმწიფოს მეთაური, პირველი პირი იერარქიაში.**
- **საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს ქვეყანას საგარეო ურთიერთობებში.**
- **ის მთავარსარდალია – შეზღუდული უფლებამოსილებით, რადგან უშიშროების საბჭო აღარ ჰყავს, თუმცა, საომარი მდგომარეობის დროს, ის რეალურად ხდება სახელმწიფოს მეთაური. ამ დროს იქმნება უსაფრთხოების საბჭოც. მისი დეკრეტები კი ამ დროს ყოვლისმომცველია და უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს.**

რას გააკეთებს ოპოზიციის კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე, თუ ის პრეზიდენტი გახდება? რის შესაძლებლობას აძლევს მას კონსტიტუცია?

ის შეეცდება, შექმნას პოლიტიკური კლიმატი საქართველოში და ამ პროცესში მისი ერთ-ერთი პირველი მოთხოვნა იქნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. მოტივი – მმართველი პარტიის და პარლამენტის მიმართ უნდობლობა.

(დემეტრაშვილი აცხადებს, რომ ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტს შეუძლია, მიმართოს ხალხს და პარლამენტს, წელიწადში ერთხელ წარდგეს მოხსენებით პარლამენტის წინაშე, სადაც შეუძლია ილაპარაკოს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე და მისცეს რეკომენდაციები მთავრობას, რაც, მისი აზრით, აქამდე არ გაუკეთებია გიორგი მარგველაშვილს. პრეზიდენტის უფლება – მიმართოს ხალხს, არცერთი საკანონმდებლო აქტით არ არის ლიმიტირებული).

შესაძლოა, გამოიყენოს ექსკლუზიური უფლებამოსილება – შეიწყალოს მსჯავრდებულები.

ვაშაძემ უკვე განაცხადა, რომ პირველი, რასაც გააკეთებს, შეიწყალებს მიხეილ სააკაშვილს. თუმცა, საპასუხო მოქმედებები უკვე დაიწყო საქართველოს ხელისუფლებამ. როგორც ავთანდილ დემეტრაშვილმა გვითხრა, ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმეში უკვე გაიელვა სააკაშვილის სახელმა, ამიტომ ის არ გამორიცხავს, რომ, თუ ვაშაძე არჩევნებში გაიმარჯვებს, იმ დროისთვის აღძრული იქნება ახალი სისხლის სამართლის საქმე სააკაშვილის მიმართ, რის გამოც მისი შეწყალების უფლება პრეზიდენტს არ ექნება, რადგან მას შეუძლია შეიწყალოს მხოლოდ მსჯავრდებული პირი.

შესაძლოა, ვაშაძემ გამოიყენოს მოქალაქეობის მინიჭების უფლება.

პირდაპირ დანიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამი წევრი.

* * *

რას გააკეთებს ამ უფლებამოსილებებით „ქართული ოცნების" მხარდაჭერილი **სალომე ზურაბიშვილი,** თუ ის პრეზიდენტი გახდება? ავთანდილ დემეტრაშვილი შენიშნავს, რომ ზურაბიშვილი არ არის მარტივად სამართავი ფიგურა, თუმცა არსებობს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: მისი საპრეზიდენტო კამპანიის დროს „ქართულმა ოცნებამ" უზარმაზარი რესურსი გამოიყენა, სასწორზე საკუთარი ავტორიტეტიც დადო, რის გამოც სალომე ზურაბიშვილს, სავარაუდოდ, ექნება მადლიერების გრძნობა მმართველი გუნდის მიმართ. და მეორე – მისი, როგორც პარლამენტის წევრის საქმიანობაში, ავთანდილ დემეტრაშვილი ვერ იხსენებს ვერც ერთ შემთხვევას, როდესაც ის დაუპირისპირდა მმართველ გუნდს.

* * *

კონსტიტუციონალისტების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ვინც არ უნდა გახდეს საქართველოს პრეზიდენტი, ის ამ კონსტიტუციის პირობებში იქნება დაახლოებით ისეთივე პრეზიდენტი, როგორიც გიორგი მარგველაშვილია.

რაც შეეხება პარლამენტის დათხოვნა-არდათხოვნის საკითხს: ეს, **ვახუშტი მენაბდის** სიტყვებით, მთლიანად მმართველი გუნდის ხელშია. **„თუ მას უნდა ვადამდელი არჩევნები, მაშინ თვითდათხოვნის ინიცირებას გააკეთებს, ტექნიკურად შექმნის ისეთ ვითარებას, როცა პრეზიდენტი ვალდებული იქნება გაუშვას. მაგრამ, თუ მას ამის გაკეთება არ უნდა, მაშინ პრეზიდენტს არავითარი ქმედითი ბერკეტი არ გააჩნია პარლამენტის დათხოვნისთვის"**.

თუ მომავალი პრეზიდენტი იქნება გრიგოლ ვაშაძე, მას ექნება ორი არჩევანი, – გვითხრა „რესპუბლიკელმა" **დავით ზურაბიშვილმა**: მძაფრი დაპირისპირება ხელისუფლებასთან ისე, რომ საპრეზიდენტო არჩევნები აღქმული იყოს როგორც ხელისუფლების შეცვლის პრელუდია. და ეს, ზურაბიშვილის შეფასებით, გამოიწვევს სამოქალაქო დაპირისპირებას.

და მეორე ვარიანტი – ვაშაძემ თქვას, რომ ის ყველას პრეზიდენტია, აჩვენოს, რომ მისი კომპეტენტურობა აღემატება მთელი ხელისუფლებისას. ამ შემთხვევაში ხელისუფლების შეცვლა გარდაუვალი იქნება, – გვითხრა დავით ზურაბიშვილმა.

„მესიჯით, რომ ის ყველას პრეზიდენტი იქნება და არა მხოლოდ „ნაცმოძრაობის", მოიგებდა ქვეყანაც, ვაშაძეც და თავად „ნაციონალური მოძრაობაც".

რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის მოქმედებებს, გაპრეზიდენტების შემთხვევაში – დავით ზურაბიშვილი თვლის, რომ მას, სავარაუდოდ, არ ექნება დაპირისპირება მმართველ გუნდთან, რადგან ის საპრეზიდენტო კანდიდატად მხოლოდ ივანიშვილის მორჩილების და იმის გამო აირჩიეს, რომ განდგომის შემთხვევაში ვერ შეძლებდა ოპოზიციური ძალების მობილიზებას თავის გარშემო.

**„თუ ის ახლა გახდება პრეზიდენტი, მხოლოდ იმიტომ, რომ „ოცნება" გაიყვანს და, ცხადია, ამ პირობებში წარმოუდგენელია ის იქცეს ქვეყნის ლიდერად. მას პარტიის ლიდერად გახდომა გაუჭირდა და ეს მით უფრო წარმოუდგენელია",** – ასე ფიქრობს დავით ზურაბიშვილი.

**მოამზადა**
**ეკა ქევანიშვილმა**

## „გლობალ ენტერპრაიზისი" მარილის საწარმოს ააშენებს

**სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში შპს „გლობალ ენტერპრაიზისს" რუსთავი-გარდაბნის გზატკეცილზე მარილის მწარმოებელ საწარმოს ააშენებს. ბიზნესის მხარდასაჭერად კომპანიას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან 15512 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცა.**

ახალი საწარმო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდება და აღჭურვილი იქნება მარილის დამუშავების თანამედროვე იოდირებისა და შეფუთვის დანადგარებით.




ქარხანა წელიწადში მინიმუმ 2500 ტონა პროდუქციის წარმოებას შეძლებს, რითიც მნიშვნელოვნად ჩაანაცვლებს საქართველოში იმპორტირებულ მარილს. პროდუქციის რეალიზაცია როგორც ადგილობრივ, ასევე ევროკავშირის ბაზარზეც განხორციელდება.

## სპეციალური სტუმრის სტატუსით EXPOVINA-ზე

**მიმდინარე წლის 1-15 ნოემბერს შვეიცარიაში, ქალაქ ციურიხში ღვინის საერთაშორისო გამოფენა Expovina იმართება, რომელშიც საქართველო სპეციალური სტუმრის სტატუსით პირველად მონაწილეობს.**

Expovina განსაკუთრებული ლოკაციით და ფორ-



მატით გამოირჩევა – გამოფენა ყოველი წლის შემოდგომაზე იმართება ციურიხის ტბაზე მდებარე გემებზე. აღნიშნულ გამოფენაზე ტრადიციულად დაახლოებით 4 ათასი ღვინის მწარმოებელი მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და მას 65 ათასამდე ღვინის იმპორტიორი ესწრება.

გამოფენის გახსნას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა დაესწრო. მისი შეფასებით, გამოფენაზე საქართველოს საპატიო სტუმრის სტატუსით დასწრება ხაზგასმით მიანიშნებს, რომ ქართული ღვინის ცნობადობა მატულობს და მსოფლიოს სულ უფრო მეტი უნდა, რომ გაიგოს ქართული ღვინის შესახებ.

**„წელს სამოცდამეხუთედ იმართება ციურიხში, შვეიცარიაში საერთაშორისო გამოფენა Expovina-2018 და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პირველად ამ გამოფენის ისტორიის მანძილზე, საქართველო მონაწილეობს როგორც საპატიო სტუმარი, ცალკე პავილიონი არის მიძღვნილი ქართული ღვინოებისადმი. ჩვენი მწარმოებლები წარმოდგენილნ არიან სხვადასხვა კატეგორიის პრემიუმ ღვინით, მათ შორის, ქვევრის ღვინით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის",** – განაცხადა ლევან მეხუზლამ. სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გამოფენაში მონაწილეობენ ქართული ღვინის მწარმოებელი 20-მდე ღვინის კომპანია და მცირე მარანი. საქართველოდან შვეიცარიაში მიმდინარე წლის 10 თვეში ექსპორტირებულია 20 ათასი ბოთლი ღვინო, რაც 300%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

## ოქტომბერში ხე-ტყის უკანონო მოპოვების 395 ფაქტი გამოვლინდა

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებმა, 2018 წლის 01 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით, ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 395 ფაქტი გამოავლინეს, მათ შორის, 15 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულების ნიშნებს შეიცავს.**

ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ყველაზე მეტი – 114 ფაქტი გამოვლინდა კახეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს მასშტაბით 61 ფაქტი დაფიქსირდა, იმერეთში – 33 ფაქტი, აჭარაში – 29 ფაქტი, გურიაში – 7, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში – 14, ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე – 25 ფაქტი, მცხეთა-მთიანეთში – 8 ფაქტი, შიდა ქართლში – 23, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს მასშტაბით – 79, ხოლო თბილისში 2 ფაქტი დაფიქსირდა. ჯამში ამოღებულია უკანონოდ მოპოვებული 3170 მ3-მდე ხე-ტყე. ამავე პერიოდში სახერხი საამქროს რეგლამენტის დარღვევის 52 ფაქტი დაფიქსირდა და ამოღებულია 1 ერთეული დაურეგისტრირებელი სახერხი დანადგარი.

# სადაურო სად მიდიხარ, უნდა იცოდე!..




## DEUTCHE WELLE: გერმანიიდან ქართველებს მასობრივად აძევებენ

**გერმანიის ერთ-ერთი რეგიონის — საქსონიის — შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბოლო 2 თვის მანძილზე უკვე 2-ჯერ განახორციელა ჩარტერული რეისი, რომლითაც თბილისში საქართველოს მოქალაქეები დააბრუნეს. მათ უარი ეთქვათ ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე.**

დაცვა რეაგირებს სწრაფად — აიფონის დანახვისთანავე ორი ათლეტური აღნაგობის კაცი გადადის ყვირილზე — Verboten! აკრძალულია! გადაღება აკრძალულია". ისინი არ არიან განწყობილები ხანგრძლივ ახსნა-განმარტებებზე — მათი ნერვები ისედაც ზღვარზეა. და ეს არ ხდება უმიზეზოდ — ბოლო თვეებში აქ, ლტოლვილის სტატუსის მაძიებელთა პირველადი განთავსების ბანაკში, რომელიც მდებარეობს დრეზდენის გარეუბანში, რეგულარულად შედის პოლიცია. ხოლო თავად ობიექტი მუდმივად ფიგურირებს ადგილობრივი გაზეთების კრიმინალურ ქრონიკაში.

იმას, რაც აქ ხდება, ექსპერტები აღწერენ კორექტულად — „კონფლიქტები ძალადობის გამოყენებით", ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ჩხუბები. ასე რომ ჟურნალისტები აქ არასასურველი სტუმრები არიან.

### დაძაბული ვითარება საქსონიაში

**ამ ცენტრში განთავსებულია 500-მდე ადამიანი, რომლებიც ელოდებიან პასუხს თავშესაფრის მიღებისთვის გაგზავნილ განცხადებაზე. მათ შორის უმეტესობა წარმოადგენს ისეთ ქვეყნებს როგორიცაა სირია, ერაყი, ავღანეთი და, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, დემოკრატიული და ნატოში შესვლაზე ორიენტირებული საქართველო — ცენტრის ყოველი მე-5 ბინადარი — სწორედ ქართველია.**

თავშესაფრის მოთხოვნები გაიზარდა ევროკავშირს და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმების შემდეგ — კონკრეტულად გერმანიაში თავშესაფრის მაძიებელთა საქართველოდან 3-ჯერ გაიზარდა. კერძოდ, 2018 წელს გერმანიაში დარეგისტრირდა 2 976 განაცხადი საქართველოს მოქალაქეებისგან - ძირითადად 2 რეგიონში — საქსონიაში და ვესტფალიაში.

### „საქართველოში ბევრი ცვლილებაა, მაგრამ პრობლემები დარჩა"

**ეთერი ხახმანი — არის სამაგალითო ემიგრანტი საქართველოდან — ის გაიზარდა თბილისში, გადავიდა საცხოვრებლად გერმანიაში 8 წლის წინ, მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება, გაწევრიანდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და იკავებს პარტიის დრეზდენის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილის პოსტს.**

ამასთან, ის მუშაობს დრეზდენის უცხოელთა საკითხების საბჭოში, რომლის მიზანიცაა — მიგრანტების დახმარება.

მისი აზრით, ქართველები გერმანიაში საკუთარ ქვეყანაში დაბალი ცხოვრების დონის გამო ჩადიან.

**„საქართველოში ბოლო წლებში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა სოციალური პრობლემები ისევ რჩება. მარტივი მაგალითი — შემწეობა თავშესაფრის მაძიებლებისთვის 400 ევროა. თუ ჩამოდის წყვილი — შესაბამისად — 800. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბანაკში ცხოვრება და კვება უფასოა, გამოდის სუფთა შემოსავალი, რომელიც ბევრად აღემატება საქართველოში საშუალო ხელფასს. ხოლო უვიზო რეჟიმი აძლიერებს ბედის ცდის სურვილს და ცდუნებას",** — ამბობს იგი.

### დადებითი გადაწყვეტილებების წილი - 1 პროცენტზე ნაკლები

**თუმცა, გერმანიის ხელისუფლება მტკიცე და დაუნდობელია — სიღარიბე — არაა გერმანიაში თავშესაფრის მიღებისთვის საკმარისი მიზეზი. შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეთა განცხადებაზე დადებითი პასუხების წილი 1%-ს არ აღემატება. პროცედურის დასაჩქარებლად გერმანია გეგმავს საქართველოს შეყვანას უსაფრთხო ქვეყნების რიცხვში. თუმცა, ეს გადაწყვეტილება ჯერაც არაა მიღებული.**

სექტემბერში და ოქტომბერში ლაიფციგიდან თბილისში შესრულდა 2 ჩარტერული რეისი, რომლითაც თბილისში 100-მდე დეპორტირებული საქართველოს მოქალაქე ჩაიყვანა. თუმცა ამგვარი დეპორტაცია არაა იაფი სიამოვნება — თითო რეისის ორგანიზება 95 000 ევრო ღირს.

### საქსონიის ხელისუფლების „დაუნდობელი ქმედებები"?

**საქსონიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ამჟამად რეგიონში იმყოფება საქართველოს 511 მოქალაქე, რომელმაც უარი მიიღო თავშესაფარზე და ვალდებულია, დატოვოს გერმანია.**

ლტოლვილების საკითხების საბჭოს პრესმდივანი რეგიონის მთავრობას აკრიტიკებს „საზარელი დაუნდობლობის" გამო — იყოფა ოჯახები, დეპორტაციას ექვემდებარებიან ავადმყოფი ბავშვები, რომლებიც ვერ იღებენ სამშობლოში სათანადო სამედიცინო დახმარებას.

საბჭოს პრესმდივნის მარკ გერტნერის თქმით, ამ სიმკაცრის მიზეზია რეგიონალური საპარლამენტო არჩევნები, რომელიც 2019 წელს ტარდება — ამ რეგიონის მმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია მკაცრი საიმიგრაციო პოლიტიკით ცდილობს რადიკალი მემარჯვენეების პოზიციების შესუსტებას.

თავად გერტნერი არ თვლის ქართველებს ეკონომიკურ ლტოლვილებად — მისი თქმით, კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების არარსებობა საქართველოში შეიძლება იყოს საკმარისი მიზეზი თავშესაფრის მისაცემად.

### გაუმჯობესების იმედი

**გერმანიაში საქართველოს ელჩის ელგუჯა ხოკრიშვილის თქმით, ქართველების განაცხადები თავშესაფრის მიღების თაობაზე ძირითადად დაუსაბუთებელია. ქვეყნის მთავრობა ცდილობს რეაგირებას შექმნილ სიტუაციაზე.** მაგალითად, მიღებულია საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ართულებენ გვარის შეცვლის პროცედურას, ითვალისწინებს არალეგალური მიგრაციის ხელშეწყობის დასჯას, ქვეყნიდან გასვლის კონტროლის გამკაცრებას და ა.შ.

**„ჩვენ უკვე გვაქვს კონკრეტული შედეგები — 2018 იანვრის მდგომარეობით გერმანიაში თავშესაფრის ქართველ მაძიებელთა რაოდენობა 2017 წლის იანვართან შედარებით 77%-ით შემცირდა. ეს კი გვაძლევს სიტუაციის შემდგომი გაუმჯობესების იმედს",** — ამბობს ელჩი.

### მოთხოვნა თარჯიმნებზე

**საქსონიაში შექმნილი ვითარება ზრდის მოთხოვნას ქართულენოვან თარჯიმნებზე. რეგიონის იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, ციხეებში უცხოელების წილი იზრდება — ამ დროისთვის საქსონიაში პატიმართა მესამედი უცხოელია.**

ქართველები ამ საკითხში იკავებენ მე-4 ადგილს პოლონეთის, ტუნისის და ლიბიის შემდეგ. ამიტომაც მოთხოვა ქართულენოვან თარჯიმნებზე სტაბილურად მაღალია. ეთერი ხახმანი ზოგჯერ თავად მუშაობს თარჯიმნად, მათ შორის სასამართლოებში. კანონი უკრძალავს მას განსახილველი საქმეების დეტალებზე საუბარს, თუმცა, მისი თქმით, ქართველების მიერ ჩადენილი დანაშაული ძირითადად ეხება ქურდობას — ბოროტმოქმედები საქართველოდან აქტიურად თანამშრომლობენ რუსებთან და ჩეჩნებთან.

**„ბევრ ლტოლვილს არ უნდა, რომ სამშობლოში მათმა ნათესავებმა და ახლობლებმა გაიგონ მათი რეალური მდგომარეობა — ისინი ეუბნებიან ნათესავებს, რომ სწავლობენ უნივერსიტეტებში ან დაიწყეს მუშაობა, სინამდვილეში კი მთელი დღეები სხედან მავთულხლართების მიღმა ლტოლვილების განთავსების ცენტრებში",** — ამბობს ხახმანი.

DEUTCHE WELLE

# ცხინვალში დე ფაქტო საზღვრის სამუდამოდ ჩაკეტვის თემა აგორდა

**ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში დანარჩენ საქართველოსთან დე ფაქტო საზღვრის სამუდამოდ ჩაკეტვის თემა ააგორეს. ამ ინიციატივას „მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილზე" დაყრდნობით, ადგილობრივი სახელისუფლებო გამოცემა „რესპუბლიკა" ლობირებს. ერთადერთი ჩინოსანი, რომელსაც იგი დე ფაქტო ხელისუფლებიდან იმოწმებს, დე ფაქტო პარლამენტის სპიკერი პეტრე გასიევია.**

გასიევს მსგავსი მოსაზრება ადრეც გამოუთქვამს და ახლა ამ პუბლიკაციაში დე ფაქტო საზღვრის ჩაკეტვის იდეა დაუკავშირეს ოსური სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ამასწინანდელ მოხსენებას, რომლის თანახმად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიიდან ოკუპირებულ რეგიონში შეტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ონკოლოგიური დაავადებების მაპროვოცირებელ ნივთიერებას შეიცავს.

**„ეს აზრი არასოდეს შემიცვლია და არაერთგზის გამიჟღერებია. ვთვლი, რომ „რაზდახანი" არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის, არამედ სრულად უნდა დაიხუროს. მესმის, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდ ნაწილს საქართველოდან ვიღებთ, თუმცა ვფიქრობ, იმ რესპუბლიკის მიმართ, რომელსაც ბოლო 100 წლის განმავლობაში არაერთგზის უცდია ჩვენი განადგურება, არანაირი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს. შევძლებთ ჩვენ საკმარისი რაოდენობის პროდუქციის ადგილზე მოყვანას საქართველოდან შემოტანილი პროდუქციის ჩასანაცვლებლად? — ვფიქრობ, მყისიერად ვერა, მაგრამ დროთა განმავლობაში ამას მოვახერხებთ. მით უფრო, ადგილობრივი მეწარმეები ბოლო პერიოდში საგრძნობლად გააქტიურდნენ და უკვე ვაწარმოებთ საკუთარ კიტრს, პომიდორს ... საზამთროც კი გაჩნდა! კითხვა მხოლოდ მოცულობაში მდგომარეობს და სწორედ მასზე მოქმედებს საქართველოდან შემოტანილი პროდუქცია",** — განაცხადა გასიევმა.

ამ იდეას ოკუპირებულ რეგიონში ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ადგილობრივ ექსპერტებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ იმასთან დაკავშირებით, რა იყო ეს — ცხინვალის რეჟიმის მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილების დაანონსება, თუ სკანდალებისადმი გასიევის ცნობილი მიდრეკილების მორიგი გამოვლინება.

**„ეხო კავკაზას" ადგილობრივი მიმომხილველი მურატ გუკემუხოვი წერს, რომ ეს შესაძლო გადაწყვეტილება ოკუპირებული რეგიონის ცხოვრების ერთდროულად რამდენიმე ასპექტსა და მის სამომავლო პერსპექტივებს შეეხება, უპირველესად — მისი მცხოვრებლების გადაადგილების თავისუფლებას და დე ფაქტო საზღვრის მეორე მხარეს მცხოვრებ ახლობლებსა და ნათესავებთან კონტაქტებს.**

## გიორგი გახარია: სტანდარტი შეიქმნება და ბრალი წარედგინება ორივე მხარეს!



შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ ახალქალაქში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. მისი განცხადებით, პროცესი იმის გამო გაგრძელდა დროში, რომ დაზარალებულები გამოძიებასთან არ თანამშრომლობდნენ.

**„ამ საქმეს იძიებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. გამოძიება მიმდინარეობს. იყო გარკვეული პრობლემები, რაც ძალზედ არასასიამოვნო იყო — დაზარალებული მხარე არ თანამშრომლობდა, უბრალოდ, ჩვენებებს არ იძლეოდა და ეს იყო დროში გაჭიმული პროცესი. თუმცა, როგორც ვიცი, დღეს ეს პროცესი დასრულდება, სტანდარტი შეიქმნება და ბრალი წარედგინება ორივე მხარეს“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

ჟურნალისტის კითხვას, ადგილი ჰქონდა თუ არა პროვოკაციას, შინაგან საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

**„ამ მომენტში ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, პროვოკაცია არ ნიშნავს იმას, რომ ფიზიკური ზემოქმედება უნდა მოახდინო ადამიანზე, თუმცა არც პროვოკაცია არის სასურველი და სახარბიელო. მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ბრალი სტანდარტით, როგორც ვიცი, დღის განმავლობაში იქნება წარდგენილი“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

## შეკრიბეს აუცილებელი მტკიცებულებები და დააკავეს!

**გიორგი გახარიამ ზუგდიდის ყოფილი მერის ლაშა გოგიას დაკავებაზე ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა.**

მისი განცხადებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ ამ პირების დაკავება იმ დროს მოხდა, როცა საკმარისი მტკიცებულებათა სტანდარტი შეიკრიბა.

**„როგორც მოგეხსენებათ, ამ საქმეს იძიებს ანტიკორუფციული სააგენტო. მათი საქმე იყო ეს თავიდან ბოლომდე. მათ მიიღეს გადაწყვეტილება, შესაბამისად ეს მიანიშნებს იმაზე, რომ შეკრიბეს აუცილებელი მტკიცებულებები, შექმნეს სტანდარტი და დააკავეს. მტკიცებულებების ნაწილი მანამდეც იყო, ჩვენ ერთად ვნახეთ ეს ტელევიზიებში, როგორ დაბრძანდებოდა ბატონი დაკითხვებზე, გულორდავაც და გოგიაც მათ შორის. იმისთვის, რომ ადამიანი დააკავო, სჭირდება მტკიცებულებების სტანდარტი. როგორც ჩანს, მტკიცებულებების სრული სტანდარტი იმისთვის, რომ ყოფილიყო ბრალი წარდგენილი და ეს პიროვნება დაკავებული — არ არსებობდა, როგორც კი შესაბამისმა საგამოძიებო უწყებამ შეკრიბა, ადამიანი დააკავეს“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

## ზუგდიდის ყოფილი მერისა და მისი მოადგილის დაკავებას არჩევნებთან კავშირი არა აქვს!

**„არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია და სანამ გამოძიება არ დასრულდება, ჩემს თავს ვერ მივცემ უფლებას, რომ სამართლებრივი შეფასება მივცე ამ მოვლენას. გამოძიება დაწყებულია გაცილებით ადრე და შესაბამისმა ორგანოებმა ამის შესახებ განცხადება არჩევნებამდე გაცილებით ადრე გააკეთეს. შესაბამისად, რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს მას არჩევნების პირველ ტურთან? არავითარი. ეს არის სამართლებრივი ჩარჩო, რითაც ხელისუფლება უნდა ხელმძღვანელობდეს.**



**თუ ადამიანის წინააღმდეგ არსებობს სამხილები, გამოძიება რაც შეიძლება მალე უნდა დაიწყოს და შედეგიც რაც შეიძლება მალე უნდა დადგეს. მაგრამ ამის დაკავშირება არჩევნებთან, ეს არის სრულიად საფუძველს მოკლებული. ეს არის პროცესი, რომელიც უნდა იყოს ქართველ საზოგადოებაში იმის მიუხედავად, არის თუ არა არჩევნები. თუ დაემთხვევა გამოძიების დაწყება რაღაც თარიღს, ეს არის სუფთა პროცედურული საკითხი, მთავარია, ასეთ შემთხვევებზე საქართველოში იყოს უმკაცრესი რეაგირება“,** — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

# 2019 წლის აფხაზეთის ბიუჯეტის თითქმის ნახევარი რუსეთის ფინანსური დახმარებაა

**აფხაზეთის მთავრობამ მიიღო თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ბიუჯეტი. ერთიანი ბიუჯეტი, რომელშიც ასევე შედის ადგილობრივი ბიუჯეტები, შეადგენს 9,6 მლრდ რუბლს, თუმცა ბევრად უფრო საინტერესოა ცენტრალური ბიუჯეტის პარამეტრები.**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აფხაზეთის სახელმწიფო ხარჯების დიდ ნაწილს ფარავს რუსეთის ფედერაცია — ზოგჯერ მაჩვენებელი 70% აღწევს. ეს აწუხებს აფხაზებს, რომლებიც საკუთარ თავს თვლიან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და რომელსაც შეუძლია საკუთარი თავის რჩენა.

იმისთვის, რომ ზედაპირულად მაინც შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ასეც არის და რუსული ფინანსური დახმარების მნიშვნელობა წლიდან წლამდე კლებულობს, მთავრობა მიმართავს მარტივ ხრიკს — ბიუჯეტში ცალკე ფიქსირდება საინვესტიციო პროგრამები და მიმდინარე ხარჯები.

2019 წლის აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტი შეადგენს 7,6 მლრდ. რუბლს, მათ შორის რუსეთის ფინანსური დახმარება შეადგენს 2,7 მლრდ. რუბლს, რაც 50%-ზე ბევრად ნაკლებია. ერთი შეხედვით გამოდის, რომ მართლაც, აფხაზეთის საკუთარი შემოსავლები იზრდება და შესაბამისად, რუსეთზე დამოკიდებულება მცირდება.

თუმცა, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

აქვე, გაკვრით წერია, რომ „2019 წელს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში, აფხაზეთი მიიღებს 2,7 მლრდ. რუბლს“.

ამ მოკლე ფრაზაში არაა მითითებული, ვისგან იქნება მიღებული ეს 1,6 მლრდ. რუბლი, თუმცა ეს არც არის საჭირო — დონორის ვინაობა ისედაც ნათელია.

შესაბამისად, გამოდის, რომ ოფიციალურად რუსეთიდან მიღებული 2,7 მლრდ. რუბლი არ არის ერთადერთი რუსული საბიუჯეტო შენატანი აფხაზეთში — ამას უნდა დავუმატოთ თითქოს და ცალკე აღნიშნული საინვესტიციო პროგრამა, რომელიც სინამდვილეში არის იგივე ბიუჯეტის ნაწილი.

შესაბამისად, გამოდის რომ 2019 წელს აფხაზეთის 7,6-მილიარდიან ბიუჯეტში რუსეთზე მოდის 4,3 მლრდ. რუბლი — რაც, როგორც ყოველთვის, ნახევარზე მეტია.



ბიუჯეტის დათვლის ეს თავისებური სისტემა მოქმედებს აფხაზეთში ბოლო რამდენიმე წელია და მისი მიზანია სიტუაციის ისე წარმოჩენა, თითქოს აფხაზეთი ძირითადად თვითონ ინახავს თავს და სულ უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული რუსეთზე — ამან, თავის მხრივ, უნდა შექმნას ილუზია, თითქოს აფხაზეთი შედგა, როგორც ეფექტური და თვითკმარი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

PRAVDA-ABH.ORG

# სად, რა, როდის, ვინ?

## ფაქტი, მოვლენა, შეფასება

### 1923 წლის 2 ნოემბერს

სსრკ ცაკ-ის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ОГПУ) ორგანიზების შესახებ.

### 1957 წლის 3 ნოემბერს



სსრ კავშირში გაუშვეს მსოფლიოში მეორე თანამგზავრი „თანამგზავრი-2“ ძაღლ „ლაიკას“ ეკიპაჟით. სტარტიდან რამდენიმე საათის შემდეგ გადახურების შედეგად ძაღლი დაიღუპა.

### 1929 წლის 5 ნოემბერს

სკპ(ბ) პოლიტბიუროს ცკ-მა გამოსცა ლაკონიური საიდუმლო დადგენილება: „ე) გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს მიეთითოს, რომ მან თავის დროზე ვერ შეძლო გამოემჟღავნებინა და აღეკვეთა ბლუმკინის ანტისაბჭოთა მოღალატური საქმიანობა; ბ) ბლუმკინი დაიხვრიტოს“.

ცნობილი ჩეკისტის, ავანტიურისტის იაკობ ბლუმკინის ოფიციალური ლიკვიდაცია იყო სსრკ-ში კომუნისტური ელიტის წარმომადგენლის პირველი დახვრეტა.



### 1857 წლის 5 ნოემბერს

ქუთაისში საჯაროდ დახვრიტეს სამხედრო სასამართლოს მიერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრ გაგარინის მოკვლისთვის სიკვდილმისჯილი სვანეთის უკანასკნელი მთავარი კონსტანტინე დადეშქელიანი.

### 1999 წლის 6 ნოემბერს

რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა ქალაქ გროზნოს ესროლეს 8 ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტა.

### 1800 წლის 7 ნოემბერს

მდინარე ივრის ნაპირზე, სოფელ კაკაბეთის ახლოს, ნიახურას ველზე, ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარი ავარიის მმართველ ომარ ხანის ლაშქარს შეება. ბრძოლა ნიახურის ველზე სამი საათი გაგრძელდა და ომარ ხანის ლაშქრის სრული მარცხით დასრულდა.

### 1917 წლის 7 ნოემბერს

(ძვ. სტილით 25 ოქტომბერს)პეტერბურგში განხორციელდა ბოლშევიკური გადატრიალება.



### 853 წლის 10 ნოემბერს

აწამეს კონსტანტი ქართველი. იგი დიდად წარჩინებული კაცი იყო მთელ საქართველოში, მდიდარი და განთქმული თავისი ღირსებებით, იყო სტუმართმოყვარე, გლახაკთმოყვარე, მოილოცა იერუსალიმი. 85 წლის კონსტანტი 28 აგვისტოს შეიპყრეს არაბებმა „ვითარცა წინამძღვარი და წარჩინებული ყოველსა ქვეყანას ქართლისა“. ჩააგდეს თბილისის საპყრობილეში, წარუდგინეს ბულა თურქს. ვინაიდან ქრისტე არ უარეყო, დაადეს ბორკილები და გაგზავნეს შუამდინარეთის ქ. სამარაში, ხალიფა ჯაფარის წინაშე. ცემის, ტანჯვის, შეურაცხყოფის, დამცირების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს.

ჭადრაკი

# სანოემბრო რეიტინგი

**ფიდემ წინა თვის შედეგების გათვალისწინებით მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. მანდილოსანთა პირველ ათეულში შევიდა ნანა ძაგნიძე, საუკეთესო ასეულში კი შვიდი ქართველია.**

2658 პუნქტით მსოფლიო კლასიფიკაციას სათავეში უდგას ჩინელი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჰოუ იფანი, რომელსაც მოქმედი ჩემპიონი ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი) 90 პუნქტით ჩამორჩება. შემდეგ მოდიან: ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2564), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2556), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2548), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2545), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2543), ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი, 2534), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2516), თან ჩჟუნი (ჩინეთი, 2513)... 17. ლელა ჯავახიშვილი (2477), 18. ბელა ხოტენაშვილი (2477), 23. ნინო ბაციაშვილი (2465), 70. მერი არაბიძე (2388), 73. სოფიკო გურამიშვილი (2386), 74. სალომე მელია (2385).




ზემოთ დასახელებული შვიდი ჩვენებურის გარდა, საქართველოს ქალთა პირველ ათეულში არიან ნინო ხომერიკი (2349), ინგა ჭარხალაშვილი (2343) და ქეთი წაწალაშვილი (2328).

ვაჟთა პირველ ასეულს 2835 პუნქტით უწინდებურად ნორვეგიელი მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი მეწინავეობს, მაგრამ დაფნის გვირგვინისთვის ბრძოლაში მისმა უშუალო კონკურენტმა ფაბიანო კარუანამ (აშშ) სხვაობა სამ პუნქტამდე შეამცირა — 2832-ით იგი მეორე ადგილზეა. საუკეთესო ათეულში შედიან, ასევე, მაღალი რეიტინგის მქონე დიდოსტატები: შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2817), დინ ლიჟენი (ჩინეთი, 2816), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2780), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2778), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2777), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2773), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2771), ვესლი სო (აშშ, 2765).

პირველ ასეულში საქართველოდან მხოლოდ ივან ჩეპარინოვია 2711 პუნქტით, რომელიც 34-ე ადგილზეა. მასთან ერთად საქართველოს საუკეთესო ათეულში არიან ბაადურ ჯობავა (2627), მიხეილ მჭედლიშვილი (2600), ლევან ფანცულაია (2591), დავით ჯოჯუა 92587), ლუკა პაიჭაძე (2587), მერაბ გაგუნაშვილი (2578), დავით არუთინიანი (2556), თამაზ გელაშვილი (2549) და კონსტანტინე შანავა (2531).

**გივი გაგუა**



# საათები დღეს ჩაირთვება

**სხვადასხვა ქვეყნის 64 წარმომადგენელი ნოკაუტ-სისტემით იბრძოლებს ქალთა მედლებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც გუშინ საზეიმოდ გაიხსნა რუსულ ხანტი-მანსიისკში. მოასპარეზეთა შორის ხუთი დიდოსტატი საქართველოდანაა.**

ესენი არიან: ევროპის 2017 წლის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე, ნინო ბაციაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ბელა ხოტენაშვილი და სოფიკო ხუხაშვილი. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ტიტულოვანი მოჭადრაკეები — მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი), მსოფლიოს და ევროპის ექს-ჩემპიონები — ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) და ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), მსოფლიოს ექს-ჩემპიონები — თან ჟონი (ჩინეთი), მარია მუზიჩუკი, ანა უშენინა (ორივე-უკრაინა), სწრაფ ჭადრაკში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ანა მუზიჩუკი (უკრაინა), ევროპის სამგზის ჩემპიონი ვალენტინა გუნინა (რუსეთი), კონტინენტის ორ-ორგზის ჩემპიონები — კატერინა ლაგნო (რუსეთი) და ნატალია ჟუკოვა (უკრაინა), ევროპის ექს-ჩემპიონები — ჰოანგ თან თრანგი (უნგრეთი) და ეკატერინა ატალიკი (თურქეთი).

ჩემპიონატი გაიმართება ექვს ეტაპად. მეტოქეები პირველი ხუთი რაუნდის განმავლობაში ორ-ორჯერ, ფინალში — ოთხჯერ შეხვდებიან ერთმანეთს. გამარჯვებულს კლასიკური პარტიები თუ ვერ გამოავლენს, დაინიშნება ტაი-ბრეიკები. შეჯიბრების საპრიზო ფონდია 450.000 ამერიკული დოლარი. მსოფლიოს ჩემპიონი 60.000 დოლარით დაჯილდოვდება.

ხანტი-მანსიისკში საათები დღეს ჩაირთვება. ქართველები ასე დაუწყვილდნენ კონკურენტებს: ნანა ძაგნიძე-იერისბელ მირანდა (კუბა), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი)-სოფიკო ხუხაშვილი, ნინო ბაციაშვილი-ქეთევან არახამია-გრანტი (შოტლანდია), ლელა ჯავახიშვილი-ჩჟუ ძინერი (ჩინეთი), ბელა ხოტენაშვილი-ვო თი კიმ ჰუნგი (ვიეტნამი).

**ლექსო ცინცაძე**

ძალოსნობა



# შესანიშნავი შვიდეულით

თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში გუშინ დაიწყო და 10 ნოემბერს დამთავრდება ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც 88 ქვეყნის 604 წარმომადგენელი იბრძოლებს მედლებისთვის, მათ შორის — შვიდი ათლეტი საქართველოდან. შეჯიბრებაზე ჩვენებურთა გამოსვლის განრიგი ასეთია: **3 ნოემბერი.** შოთა მიშველიძე (61 კგ) და გოგა ჩხეიძე (67 კგ); **6 ნოემბერი.** რევაზ დავითაძე (89); **7 ნოემბერი.** ანტონ პლესნოი (96, იგი წარმოშობით უკრაინელია და საქართველოს მოქალაქეობა შარშან მიიღო). **8 ნოემბერი.** გოგა ჩხეიძის ძმა - ირაკლი ჩხეიძე (102); **10 ნოემბერი.** ლაშა ტალახაძე და ირაკლი თურმანიძე (ორივე — +109). წლეულს ზაფხულს ტაშკენტში ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IWF) კონგრესმა ახალი წონითი კატეგორიები დაამტკიცა, რომლებიც პირველი ნოემბრიდან შევიდა ძალაში. ვაჟებისთვის: **საერთაშორისოზე** - 55, 61, 67, 73, 81, 89, 96, 102, 109 და +109 კილოგრამი; **ოლიმპიურ თამაშებში** — 61, 67, 73, 81, 96, 109, +109 კგ; ქალებისთვის: **საერთაშორისოზე** - 45, 49, 55, 59, 64, 71, 76, 81, 87, +87 კგ; **ოლიმპიურ თამაშებში** — 49, 55, 59, 64, 76, 87, +87 კგ; ახალგაზრდები: **ვაჟებისთვის** - 49, 55, 61, 67, 73, 81, 89, 96, 102, +102; **გოგონებისთვის** - 40, 45, 49, 55, 59, 64, 71, 76, 81, +81 კგ.

კონგრესზე მიღებული დადგენილებით, პირველი ნოემბრიდან რეკორდების ახალი ათვლაც დაიწყო, აქამდე დამყარებულები კი ისტორიის კუთვნილება გახდა. საგულისხმოა, რომ რიოს თამაშების გამარჯვებულმა, მსოფლიოს ორგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონმა ლაშა ტალახაძემ წლეულს საქართველოს ჩემპიონატში 264 კილოგრამი აკრა, რაც კილოგრამით აღემატება 2004 წელს ათენში ირანელი ჰოსეინ რეზა ზადეს მიერ დამყარებულ მსოფლიოს რეკორდს (ატაცში პირველობა ტალახაძეს ეკუთვნის - 220 კგ). ორჭიდში ლაშამ 478 კილოგრამი მოაგროვა, რაც, ასევე, კილოგრამით მეტია მისსავე 2017 წლის მსოფლიო მიღწევაზე. საქართველოს ეს რეკორდები მსოფლიოსას აღემატება და +105-ში ასეთად დარჩება მარად, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, პირველი ნოემბრიდან წონითი კატეგორიები შეიცვალა, თანაც ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ თითოეული წონისთვის დააწესა მსოფლიოს სტანდარტები, რომლებიც სავარაუდო რეკორდებადაა მიჩნეული. ვინც ამ წონებს გადაამეტებს, რეკორდსმენის სახელსაც ის დაიმსახურებს. გაგაცნობთ ამ სტანდარტებს ვაჟებისთვის წონითი კატეგორიების მიხედვით: **55 კგ.** ორჭიდი - 293 კგ (ატაცი - 135 კგ **აკვრა** - 161 კგ); **61 კგ.** 312 (144/173); **67 კგ.** 331 (153/184); **73 კგ.** 348 (160/194); **81 კგ.** 368 (170/206); **89 კგ.** 387 (179/216); **96 კგ.** 401 (185/225); **102 კგ.** 412 (191/231); **109 კგ.** 424 (196/237); **+109 კგ.** 453 (210/250) კგ.

**ლაშა დიდია**

ძიუდო

# საქართველოს სახელით



**ამ უქმეებზე უნგრეთის ქალაქი დიორი 23-წლამდელ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში საქართველოს 11 წარმომადგენელი ჩაებმება, მათ შორის — ორი გოგონა.**

მედლებისთვის იბრძოლებენ: ჯაბა პაპინაშვილი (60 კგ), თორნიკე ნაგლიაშვილი, გიორგი ნიაზაშვილი (ორივე-66 კგ), ალეკო მამიაშვილი (73 კგ), თამაზ კირაკოზაშვილი, ვლადიმერ ახალკაცი (ორივე-81 კგ), კობა მჭედლიშვილი (90 კგ), ონისე სანებლიძე (100 კგ), გელა ზაალიშვილი (+100 კგ), მარიამ ჯანაშვილი (52 კგ) და ეთერ ლიპარტელიანი (57 კგ).

**თამაზ პატარიძე**

ლეგიონერი

# ამჯერად - თურქებთან

**თორნიკე შენგელიას „ბასკონიამ“ ევროლიგის მიმდინარე სეზონში მე-2 გამარჯვება იზეიმა. ესპანური გუნდი შინაურ კედლებში თურქულ „დარუშაფაკას“ დაუხვდა და 82:56 სძლია.**



ქართველი ლეგიონერი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 17 წუთში 13 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი და 2 დაფარება მიითვალა.

თორნიკემ 8-დან 6 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა, 1 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 3-ჯერ დაჯარიმდნენ.

საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა კალათბურთელმა მეტ ჯენინგმა მოედანზე 18 წუთი გაატარა და 8 ქულა (4-დან 2 სამქულიანი, 2-დან 1 ორქულიანი), 1 მოხსნა, 1 პასი, 3 ჩაჭრა და 2 ბლოკ-შოტი მოაგროვა.

„ბასკონია“ 2 მოგებითა და 3 მარცხით სატურნირო ცხრილში მე-11 ადგილზე დამკვიდრდა, მომდევნო შეხვედრას კი 9 ნოემბერს შინ სტამბოლის „ფენერბაჰჩესთან“ ჩაატარებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ცოცხალი ლეგენდა

# მარადონას „ძეგლისდება“

**არგენტინა დიეგო მარადონას 58-ე დაბადების დღეს ზეიმობს. ამასთან დაკავშირებით ბუენოს აირესში მისი პირველი კლუბის „არხენტინოს ხუნიორსის“ სტადიონის მახლობლად ბრინჯაოს ქანდაკება გახსნეს, რომელიც 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ლეგენდარული 10 ნომრის მიერ ინგლისელთა კარში გატანილ გოლს განასახიერებს.**

ის თამაში, 1986 წლის 22 ივნისის მეოთხედფინალი, სამუდამოდ შევიდა ფეხბურთის ისტორიაში. არგენტინამ მეხიკოში, „ესტადიო აცტეკაზე“, 2:1 მოუგო ბრიტანელებს და ორივე ბურთი მარადონამ გაიტანა. პირველი იყო ე.წ. „ღმერთის ხელი“, რომლის გამოც დღემდე არ წყდება კამათი, ხოლო მეორე — მე-20 საუკუნის საუკეთესო გოლად აღიარებული, როცა ლამის მთელი ინგლისის ნაკრები მოატყუა და ისე გაიტანა.

იმ წელს არგენტინის ეროვნული გუნდი მსოფლიო ჩემპიონი მეორედ გახდა.

**გიორგი შოთაძე**



◎ ამის დავიწყება არ შეიძლება!

# ორმაგი სიკვდილი...

„საქართველოს რესპუბლიკის" 26 ოქტომბრის ნომერში საინტერესო მასალა გამოქვეყნდა საფრანგეთის არმიის მამაც ოფიცერზე, ჩრდილოეთ აფრიკაში გერმანელებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულ **დიმიტრი ამილახვარზე**. ამ წერილმა მეორე ამილახვარი გამახსენა – 1924 წლის აჯანყებისას დახვრეტილი **ოთარ ამილახვარი** და ახლა მინდა, მასზე ვუამბო მკითხველს.

1924 **წლის** აგვისტოს აჯანყება მალე დამარცხდა. საიდუმლო სამსახურებმა ჯერ კიდევ იანვარში შეიტყვეს აჯანყების მზადების შესახებ და უკვე 28-29 აგვისტოს რეპრესიები დაიწყო. არნახულ მასშტაბებს მიაღწია თავადაზნაურთა განადგურებამ. აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით იხვრიტებოდნენ გვარისა და წარმომავლობის გამო, ყოველნაირი ბრალდების გარეშე.

ჩვენი ცნობილი მსახიობი **თამარ ციციშვილი** იგონებდა თავისი ახლო ნათესავის **ოთარ ამილახვრის** ტრაგიკულ აღსასრულს (ეს ნაამბობი უდავოდ თვითმხილველის მოგონებას ეფუძნება და თავანკარა სიმართლეა). სანამ ქალბატონი თამარის მოგონებას გაგაცნობდეთ, ერთ ცნობას წარმოგიდგენთ:

საქართველოს ჩეკას მუშაკი, საქ. ჩეკას უფროსის მოადგილის ლავრენტი ბერიას მარჯვენა ხელი **მანუჩარ შელია,** რომელმაც საინტერესო მოგონებები დატოვა, ქართლის ტერიტორიიდან თავის შეფს წერილი-პატაკით ატყობინებს: „სექტემბერში დაწყებული დახვრეტები გრძელდება. განადგურებულია პოლიტპატიმართა ძირითადი მასა. გაგვექცა სამი დაკავებული, მათ შორის არის გიორგი ჯანდიერი, ყოფილი სამხედრო, საკმაოდ საშიში პიროვნება, დანარჩენი ორი გლეხია, რომლებსაც ალბათ უახლოეს დღეებში დავიჭერთ. 12 კაცი, რომელთა სიაც მე შენგან მივიღე, განადგურებულია. ისინი იმავე საღამოს ებრაელთა მიტოვებულ სასაფლაოზე დამარხეს.

გორში დავხვრიტეთ ოთარ ამილახვარი და მისი გუნდის ორი წარმომადგენელი.: გვაზავა და თარხან-მოურავი".

ამრიგად, მთელი ქართლის მთავარი ეგზეკუტორი ბერიას ხაზგასმით უპატაკებს, ოთარ ამილახვარი დავხვრიტეთო, რაც მიგვანიშნებს, რომ იგი მნიშვნელოვანი პიროვნება იყო, მისი ლიკვიდაცია კი ჩეკასთვის წარმატება.

ახლა კვლავ ქალბატონ თამარ ციციშვილის ნაამბობს მივყვეთ, რომელიც თავისი ნათესავის ტრაგიკულ აღსასრულს გვიყვება, ოღონდ უფრო დაკონკრეტებულს და საშინელს:

„ღამით ჩეკისტებს გორის სიახლოვეს პატიმრები დაუხვრეტიათ. ოთარი მარცხენა მხარში დაჭრილა, გული წასვლია და სხვებთან ერთად ჩაუფლავთ. ასეთი მასობრივი ჟლეტის დროს ორმოები გვამებით პირთამდე ისე ივსებოდა, რომ წაყრილი მიწა ძლივს ფარავდა, გამთენიისას გონს მოსულა, საძმო საფლავიდან წამომდგარა



და გორის გარეუბანში თავისი სკოლის ამხანაგის სახლში მისულა (ქალბატონ თამარს თავის დროზე იმ კაცის გვარიც კი სცოდნია). თავდაპირველად კარგად მიუღიათ, ჭრილობა შეუხვევიათ, დაუპურებიათ კიდეც. ამასობაში კი მასპინძელს ჩეკასთვის უცნობებია და პურობის დროს, როცა ოთარი თავს გადახდენილს ჰყვებოდა, ჩეკისტები თავს წამოდგომიან სიკვდილს ერთხელ სასწაულებრივად გადარჩენილი ამილახვარი იქვე, ეზოში დახვრიტეს". ის, რაც გიამბეთ, ჩეკისტების არაადამიანურობის გარდა, თვით ცალკეული ადამიანების გახრწნის მაჩვენებელიც არის. მასპინძელი მასთან საშველად მისულ დაჭრილ ამხანაგს ასმენს და სასიკვდილოდ იმეტებს.

* * *

აი კიდევ ერთი მაგალითი:

ყვირილას მარჯვენა ნაპირზე სატვირთო ვაგონებში ტყვიამფრქვევებით დახვრეტილთა ერთ-ერთი ჯგუფიდან გაქცეულა **ალექსანდრე აბაშიძე**. სოფელ დაბლა საქარასთან დაჭრილსა და სისხლით გათხვრილს, ვინმე გოგიშვილის ვენახთან დასთენებია. გადამძვრალა ვენახში და თივის ზვინში შემალულა. ცოტა ხნის შემდეგ გოგიშვილი მოსულა, ზვინზე სისხლის კვალი რომ შეუნიშნავს, თივა გაუშლია და უბედური აბაშიძე უნახავს. მას უთხოვია, ხომ ხედავ, რა დღეშიც ვარ, დახვრეტილთა ვაგონიდან დავაღწიე თავი, ნუ გამწირავ, რაიმე ტანსაცმელი მომიტანე გადასაცმელად და მთელი სიცოცხლე შენი ვალიდან ვერ ამოვალო. გოგიშვილი შეპირებია და... ჩეკაში გაქცეულა. ჩეკისტებმა აბაშიძე იქვე, ვენახში დახვრიტეს.

* * *

დაბოლოს:

ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ოფთალმოლოგი **გიორგი გიუნაშვილი** სიღნაღში მოღვაწეობდა. იგი ერთადერთი თვალის ექიმი იყო მთელ ქიზიყში. დიდებულ სპეციალისტთან საკონსულტაციოდ და სამკურნალოდ თბილისიდანაც კი ჩადიოდნენ.

1924 წლის შემოდგომაზე კახეთსა და ქიზიყში საშინელი ტერორი მძვინვარებდა. იმ პერიოდში ქიზიყის სამაზრო კომიტეტის მდივანი მოსე ვარამაშვილი იყო. ჩეკას საგანგებო რაზმებსა და კომკავშირელ მოხალისეებს დასახვრეტად განკუთვნილნი სოფლებიდან საბარგო მანქანებით ჩამოჰყავდათ სიღნაღში. ქიზიყის სამაზრო კომიტეტის წინ მათთვის უსათუოდ მ. ვარამაშვილს უნდა შეევლო თვალი.

ერთხელ, მორიგი საბარგო მანქანის გასტუმრებისას, მოსეს გიორგი გიუნაშვილის მიყვანა უბრძანებია, რომელიც ამ დროს ავადმყოფებს იღებდა. მოყვანისთანავე, ყველას, თვით ჩეკისტების გასაოცებლადაც კი, ვარამაშვილს იგი საბარგო მანქანაზე შეუგდია. არადა, ისინი უნივერსიტეტის ამხანაგები იყვნენ, ოღონდ ვარამაშვილი მესამე კურსიდანაა გარიცხული, როგორც თვითონ ამტკიცებდა „რევოლუციური საქმიანობისთვის".

პატიმრები დაუხვრეტიათ სიღნაღთან ახლოს, ერთ-ერთ ხევში და დაუმარხავად მიუტოვებიათ (გვამებს შემდეგ საგანგებო რაზმებს ამარხვინებდნენ ხოლმე). გიორგი სასიკვდილოდ დაჭრილი არ იყო და დილით გონს მოსულა, გაუგონია ხევს ზემოთ, შარაზე, ბაზარში მიმავალი ქალების ხმამაღალი ლაპარაკი და დაუწყია ძახილი, ქალებო, მიშველეთო. ქალების ჯგუფი ხევში ჩასულა, სასაკლაოს დანახვაზე წივილ-კივილი აუტეხიათ. მაგრამ ზოგიერთი არ დაბნეულა... სოფლსაბჭოში გაქცეულა, მათმა მოყვანილმა „მთავრობის კაცებმა" დაჭრილ ექიმს ტყვია მოუნაცვლეს.

ამ ამბავს ადასტურებდა მისი ძმისწული, აწ განსვენებული პროფესორი ჯემშიდ გიუნაშვილი, საქართველოს ყოფილი ელჩი ირანში.

**ალეკო ასლანიშვილი**

**რეკლამა**
*„საქართველოს რესპუბლიკაში"*
**კოსტავას ქ. №21.** 599 79-76-79; 568 82-09-84

სულთათანა

# თამაზ დანელია



**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი მეცნი ერისა და სამეურნეო მუშაკის, აკადემიის სწავლული მდივნის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის, უმწიკვლო პიროვნებისა და ერთგული მეგობრის, დიდი მოყვასის, ქვეყნისა და ერის დიდი მოამაგის, აკადემიკოს**

## თამაზ დანელიას

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, მეგობრებსა და ახლობლებს.**

**ჩვენგან წავიდა პიროვნება, რომელმაც მთელი მისი შეგნებული ცხოვრება ქვეყნის აღმშენებლობას მიუძღვნა, პიროვნება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში დაუღალავად იღვწოდა სახელმწიფო სტრუქტურებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, მისი ღვაწლი არაერთხელ აღინიშნა საპატიო წოდებებითა და სამთავრობო ჯილდოებით, იყო მრავალი თაობის აღმზრდელი.**

**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიას გამოაკლდა დიდი ბურჯი და თითოეულ ჩვენგანს დაგვიტოვა დიდი სითბო და გაუნელებელი ტკივილი.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის სათაყვანებელი ქართული მიწა!**

უდიდესი გულისტკივილით

**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;**

**საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯი**

**პანაშვიდი: 2,3 XI, 16 სთ-ზე; დაკრძალვა: 4 XI, 14 სთ-ზე; მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. 46, I სადარბაზო, ბინა 10.**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის დირექტორის ავთანდილ დავითაიას დედის**

## ვალია (ველი) წურწუმიას

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

# სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

# აცხადებს კონკურსს

## შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად

**მეცნიერ თანამშრომელი (არასრული დატვირთვით) - 1 საშტატო ერთეული (არაორგანული მასალების ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორია)**

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:

1. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია /CV
